აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№27 (25.051) ხუთშაბათი, 16 - 17 მარტი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდამთიან რაიონებში - 12-17, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

ორმხრივი თანამშრომლობის გასააქტიურებლად

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში აშოტ სმბატიანს შეხვდა. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე ისაუბრეს და კულტურის, განათლების, ტურიზმის სფეროებში არსებული ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო გააქტიურებასთან დაკავშირებით იმსჯელეს.

აშოტ სმბატიანი საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობას 2022 წლის აგვისტოდან იკავებს.

მაია ხაჯიშვილმა ედიტ მედნესს უმასპინძლა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ედიტ მედნესი მიიღო.

შეხვედრაზე სამინისტროსა და საქართველოში ლატვიის რესპუბლიკის საელჩოს შორის უკვე არსებული კავშირების გაღრმავებასა და ახალი პროექტების განხორციელებაზე ისაუბრეს, მათ შორის, უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების განხორციელებაზე.

მალე - „BATUMI BOOK & HIGHER EDUCATION 2023“

2023 წლის 24-26 მარტს ბათუმის სპორტის სასახლეში კომპანია Expo Batumi-ს ორგანიზებით ბათუმის წიგნისა და უმაღლესი განათლების პირველი საერთაშორისო გამოფენა - „BATUMI BOOK & HIGHER EDUCATION 2023“ გაიმართება.

„BATUMI BOOK & HIGHER EDUCATION 2023“-ის მიზანია წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა. ასევე, დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ, მიიღონ სრული ინფორმაცია სასწავლო პროგრამების, სტიპენდიების, გრანტებისა და სტაჟირების შესახებ. გამოფენის ფარგლებში ჩატარდება საერთაშორისო კონფერენცია და სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი პროგრამები.

გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს 40-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო დაწესებულება: უმაღლესი სასწავლებლები, კულტურულ-საგანმანათლებო დაწესებულებები და ფონდები, წიგნის სადისტრიბუციო კომპანიები, გამომცემლობები, სტამბები, წიგნის მაღაზიები, ჟურნალ-გაზეთები, ქართული კულტურის ცენტრები, უცხო ენის ცენტრები.

კრიალოსა N იუსი

ძალიან სახიფათო არის ის მიდგომები, რაც დავინახეთ - მცდელობა, რომ ხალხი და მის მიერ არჩეული ხელისუფლება ერთმანეთისგან გამიჯნონ, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ევროპარლამენტში საქართველოს შესახებ გამართულ დებატებზე საუბრისას. მისი თქმით, „ეს არის პროპაგანდისტული მეთოდი, რომელსაც იყენებს რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ, როდესაც რუსეთი ცდილობს, უკრაინის ხელისუფლება გამიჯნოს ხალხისგან და თქვას, რომ ხალხი კარგია, ხელისუფლება კი არ ვარგა. სამწუხაროდ, ზოგიერთ გამოსვლაში ჩვენ მოვისმინეთ ეს რიტორიკა“.

* * *

„დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით ვენეციის კომისიამ ის პოზიცია დაადასტურა, რაც ჩვენ გვქონდა - მან წერტილი დაუსვა უსაფუძვლო აყიოტაჟს, როცა რადიკალური ოპოზიცია ამბობდა, რომ დეოლიგარქიზაციის საკითხზე კანონის მიღება დაუშვებელი იყო, - განმარტა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა. მისი თქმით, კომისიამ დასკვნაში აღნიშნა, რომ საკითხის კანონით მოწესრიგება სავსებით შესაძლებელია. ამასთან, ოხანაშვილის განცხადებით, არის საკითხები, რომლებიც დაზუსტებას საჭიროებს.

* * *

პარლამენტმა „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის პროექტი ისევე უნდა ჩააგდოს, როგორც მას რუსული კანონის ჩაგდება მოუწია, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა ხატია დეკანოიძემ. მისი თქმით, ვენეციის კომისიის დასკვნა სავსეა პოსტულატებითა და ფაქტებით, რაზეც ოპოზიცია საუბრობდა. „უკრაინაში არის სხვა რეალობა, საქართველოში - სხვა და ეს თქვა ვენეციის კომისიამ. ესეც ჩვენ ნათქვამს დაემთხვა. ვენეციის კომისია დასკვნაში ყურადღებას სისტემურ რეფორმებზე ამახვილებს“, - აღნიშნა მან.

* * *

სამი ოპოზიციური პარტიის - „სტრატეგია აღმაშენებლის“, „დროას“ და „გირჩი - მეტი თავისუფლების“ წარმომადგენლები სტრასბურგში შეხვედრებს მართავენ. „სტრატეგია აღმაშენებლის“ ინფორმაციით, პირველი შეხვედრა ევროპარლამენტარ ილჰან კიუჩუკთან გამართეს და მთავარი თემა „ევროინტეგრაცია და თბილისში რამდენიმე დღის წინ მომხდარი დარბევები იყო“.

მოამზადა
ია შველიძემ

«სტუდენტთა დაბარება სამინისტროში სიმართლეს არ შეესაბამება» 2

პოლარიზაცია - საქართველოს ყველაზე დიდი მტერი 3

«ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი» 4

«პაროლი» - იდუმალების შესაცნობად 5

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

„სტუდენტთა დაბარება სამინისტროში სიმართლეს არ შეესაბამება“

ია ხატიაშვილი 555 18 48 88

უკვე რამდენიმე დღეა, რაც მედიასაშუალებებით ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსთაველზე გამართული აქციის მონაწილე სტუდენტებს განათლების სამინისტროში იბარებენ

უწყება ამ ბრალდებას უარყოფს და განცხადებას ავრცელებს. „პირველ რიგში, გვსურს აღვნიშნოთ, რომ სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია სტუდენტთა ხელშეწყობა და მათთვის თანასწორი, თავისუფალი და ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა. შესაბამისად, უწყებისთვის მიუღებელია ყოველგვარი ქმედება, რომელიც ახალგაზრდების შევიწროებისკენ და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისკენ იქნება მიმართული.

სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს სტუდენტები დაიბარეს სამინისტროში, სიმართლეს არ შეესაბამება. ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ სტუდენტებმა თავად გამოთქვეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩთან შეხვედრის სურვილი. მხოლოდ ამის შემდეგ, სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე, მინისტრის მოადგილემ გამოთქვა ახალგაზრდებთან შეხვედრის მზაობა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის განათლების სისტემის და მასთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიზირება და პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყენების მცდელობა კატეგორიულად მიუღებელია“, - ნათქვამია განცხადებაში.

სტუდენტებს პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წევრი ირაკლი კუპრაძე გამოეხმაურა. ბრიფინგზე მან პირობა დადო, რომ დაცული იქნებიან ახალგაზრდები, რომლებსაც გულწრფელი პროტესტი აქვთ. „ჩვენთვის გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები გულწრფელი პროტესტით, პროდასავლური განწყობებით იყვნენ დაცული. პირობას ვდებთ, მზად ვართ, საკუთარი ცოდნით, სამართლებრივი, ფიზიკური ძალისხმევით დავიცვათ თითოეული სტუდენტი, რომელიც იქნება თუნდაც ზეწოლის ან ძალადობის რისკის ქვეშ, ოდნავი რისკის ქვეშ. მოგიწოდებთ, გამოდით ჩვენთან კონტაქტზე. გთავაზობთ მოკავშირეობას და მხარდაჭერას. სამართლებრივი მხარდაჭერიდან დაწყებული, დამთავრებული თქვენთან ერთად ფიზიკური დგომით. უნივერსიტეტებსა და სკოლებში არ არის ადგილი პრორუსი, პუტინისტი და მოღალატე ლექტორებისთვის. მშვიდობიანი პროტესტის სახით, რასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვხედავთ, ეს არათუ უბრალოდ კარგია, ვალდებული ვართ და აუცილებელია, რომ დღეს ჩვენი პოზიცია ყღერდეს ყველგან, პირველ რიგში, უნივერსიტეტის აუდიტორიებში. ვამბობ, როგორც ყოფილი სტუდენტი, თუნდაც ირაკლი კობახიძის, მე რომ ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყო, აუცილებლად ირაკლი კობახიძის კაბინეტთან იდგებოდნენ სტუდენტები და იქნებოდა სირცხვილის კორიდორი საუკუნის მატყუარისთვის, რომელსაც წარმოადგენს ირაკლი კობახიძე თავისი პუტინისტური მესიჯებით“, - განაცხადა ირაკლი კუპრაძემ.

მოსახლეობა პროექტებს ირჩევს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჭვანის ადმინისტრაციული ერთეულის ათ სოფელსა და დასახლებულ უბანში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში თითქმის 120 ათასი ლარია მობილიზებული

მოსახლეობა თანხებს პირადი სურვილით განკარგავს. ამ მიზნით ადმინისტრაციულ ერთეულში მეკომურთა კრებები დაიწყო.

ახალდაბაში, წყაროთაში, ჭალაში, ცეკვაში, ცხემლისში, ვარჯანაულში, ჭვანაში, ტაკიძეებში, ცივაძეებსა და ხიჭაურის დასახლებაში გამართულ მეკომურთა კრებებს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერი ომარ ტაკიძე, მერის პირველი მოადგილე მირიან აბაშიძე, საკრებულოს წევრები, მერიის პასუხისმგებელი მუშაკები ესწრებოდნენ.

უმრავლეს კრებებზე მოსახლეობის წარმომადგენლებმა გარე განათების მოწყობის დასრულებაზე მიმართეს თანხები. ახალდაბაში - თემურ დავითაძის, ჭალაში - გუგული დავითაძის, მარინა ჯაყელის, ცეკვაში - რესან ბოლქვაძის, შაქრო კილაძის წინადადებებს კრებებზე დამსწრეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. შესაბამისად, მობილიზებული 16, 12, 10 ათასი ლარი გარე განათების მოწესრიგებას მოხმარდება. წყაროთელებმა ნაზიბროლა მიქელაძემ და ჯემალ შარაშიძემ სველი წერტილების გაკეთება ისურვეს. სოფლისთვის მობილიზებული 12 ათასი ლარი ამ პროექტს მოხმარდება.

ხიჭაურის დასახლება უბან ზედაყანის ჩათვლით, 630 მცხოვრებს ითვლის. მათ 16 ათასი ლარი მოაჯირების მოწყობაზე მიმართეს.

შერჩეული პრიორიტეტები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

- წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ამ პროგრამის ფარგლებში, შუახევის მუნიციპალიტეტისთვის მობილიზებულია 628 000 ლარი. მეკომურთა კრებები დაიწყო და 10 დღის ფარგლებში დასრულდება. კრებებზე დასწრება, მოსახლეობის წინადადებებისა და სურვილების გათვალისწინება ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მიმართულებაა. პარალელურად, ცალკეულ მოქალაქეებსაც ვხდებით. ზამთარმა, ამინდის ჭირვეულობამ რიგი პრობლემები წარმოშვა, რასაც შესაძლებლობის ფარგლებში, ვაწესრიგებთ, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

მეწყრული პროცესები გააქტიურდა მილიონ ლარზე მეტია მობილიზებული

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ამ ეტაპზე, მეწყრულ ზონაშია მოქცეული 150-მდე ოჯახი შუახევში, 100-ზე მეტი - ხულოში, 50-მდე - ქედაში. ყველაზე კრიტიკული მდგომარეობა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ბუთურაულში, ნიგაზეულში, ტაკიძეებსა და ჯაბნიძეებშია. მეწყერმა საცხოვრებელი სახლი დაუშალა ნიგაზეულელ ჯუმბერ სირაძეს

რამდენიმე ოჯახი ხიმშიაშვილების საგვარეულო ციხის შემოგარენიდან და ნიგაზეულის სხვა უბნებიდან საიმედო ტერიტორიაზეა გაყვანილი. ბუთურაულში უკვე მთელი სოფელია გასახიზნი. 10-ზე მეტ ოჯახს საფრთხე დაემუქრა სოფელ ტაკიძეების იმ უბანში, სადაც ტარიელაძეები და მოსიძეები სახლობენ. როგორც შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ „აჭარასთან“ საუბარში თქვა, ამ უბანში მეწყერი 1 ჰექტარზე მეტ ფართობზეა განვითარებული. მთისპირა სოფლებში მიწას ჯერ კიდევ თოვლი ფარავს. იქ რა პროცესები განვითარდება, სპეციალისტებს პროგნოზების გაკეთება უჭირთ. სპეციალისტები, მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები მოსახლეობას მეტი სიფრთხილისა და სიფხიზლისაკენ მოუწოდებენ.

ლების საფუძველზე, პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით, პრიორიტეტების დაგეგმვას.

შეხვედრები ეტაპობრივად, მუნიციპალიტეტის 83-ივე სოფელში ჩატარდება. წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ბიუჯეტი 1 002 000 ლარია.

დიდ რიყეთში და დიოკნისში გამართულ შეხვედრებს ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

პოლარიზაცია – საქართველოს ყველაზე დიდი მტერი

პარტია „ხალხის ძალის“ მიერ ინიციირებულმა და ამჟამად უკვე გაწვეულმა კანონპროექტებმა - „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“და მათი დამტკიცების ნაჩქარევმა მცდელობამ კიდევ ერთხელ და უკიდურესად მწვავედ გაყო არა მარტო პოლიტიკური სპექტრის, არამედ საზოგადოების აზრიც. მათი რეაქცია, ვინც ამ პროექტებს ანტიდემოკრატიულად, რუსულად თვლიდა, გაცილებით მწვავედ წარმოჩნდა და 7 მარტს პირველი კანონპროექტის ნაჩქარევად მიღებისთანავე (პირველი მოსმენით) მრავალრიცხოვანი აქციები მოჰყვა. აქციის

მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც სურდათ, გულწრფელად და გააზრებულად გამოეხატათ თავიანთი პროტესტი მათთვის მიუღებელ კანონპროექტთან დაკავშირებით, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც კარგად არ ესმოდათ (მოზარდები), რას აპროტესტებდნენ და ისეთებიც, ვისთვისაც ეს აქციები მორიგი შესაძლებლობა იყო ხელისუფლების დასამხობად, თუმცა არავის დაუთვლია, საქართველოს რამდენი მოქალაქისთვის არ იყო ეს კანონპროექტები საპროტესტო. ასეთები სოციალურ ქსელში აქტიურად აპროტესტებდნენ აქციაზე გამომსვლელთა პროტესტს. ისიც სათქმელია, რომ „მშვიდად“ მყოფი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ისიც გამოუცნობია, რატომ გაიტანა პირველ მოსმენაზე განსახილველად პარტია „ხალხის ძალამ“ ხსენებული კანონპროექტები მათი წინასწარი განხილვების, მოქალაქეებისთვის პუნქტობრივად ახსნის, ყველა წარმოქმნილ შეკითხვაზე პასუხის გაცემის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ორივე მხარემ (კანონპროექტების დამტკიცების მომხრეებმაც და მოწინააღმდეგეებმაც) ამომწურავად დაასაბუთა თავიანთი შეხედულებები, კითხვის ნიშნები ორივე მხრიდან ისევ ისმის. როგორც ჩანს, ამ ფაქტთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია თავად ევროპარლამენტართა შორისაც. მათი უმრავლესობა (ყოველ შემთხვევაში, ვინც თავის აზრს გამოხატავს) თვლის, რომ მრავალათასიანი გამოსვლები თბილისში იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ქართველი ხალხის არჩევანი ევროკავშირის წევრობა და ევროპული ღირებულებებია, თუმცა ამისთვის მზაობა საქართველოს ხელისუფლებამაც უნდა გვაჩვენოს.

ევროპარლამენტმა 14 მარტს 45-წუთიანი დებატები მიუძღვნა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, რომლის დროსაც არაერთი მოლოცვა და ქათინაური გაისმა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მისამართით. უთუოდ მისასალმებელია, რომ ამ ფაქტმა დადებითად იმოქმედა ევროკავშირის დეპუტატების განწყობაზე, დებატების დროს ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ, უდავოდ, საქართველოს ადგილი ევროპაშია და ამ მოსაზრების მართებულობას ზემოთ ხსენებული კანონპროექტებისადმი ქართველი ხალხის პროტესტით ადასტურებდნენ.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

სანდრა კალნიეტე (ლატვიელი დეპუტატი, „ევროპის სახალხო პარტია“): „ტაშს ვუკრავ საქართველოში დემონსტრანტების მიერ გამოჩენილ სიმამაცეს“.

ვიოლა ფონ კრამონი (გერმანიიდან): „დროა, ქართველებისგან ავიღოთ მაგალითი და ვიბრძოლოთ ევროპული მომავლისთვის. ქართველი ხალხი იმსახურებს ევროკავშირში ყოფნას, მაშინაც კი, თუ მათი ხელისუფლება ამას არ იმსახურებს“.

უნგრელმა დეპუტატმა კატალინა ჩემ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში „რუსული გავლენით“ იღებდნენ „მჩაგვრელ“ კანონს, „რომლის მიზანიცაა სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაცია და წინააღმდეგობის ჩახშობა“... „გხედავთ და თქვენ გვერდით ვართ!“ - ასე მიმართა მან „პროევროპულ ძალებს საქართველოში“.

კატალინა ჩემ გაიხსენა ქართველი დემონსტრანტი, რომელიც თბილისში ევროკავშირის დროშას აფრიალებდა წყლის ჭავლის პირისპირ. „ეს ძალიან ძლიერი სიმბოლოა, რომელიც აჩვენებს, რამდენს ნიშნავს ევროპული პროექტი ქართველი ხალხისთვის“.

ქართველი ხალხის მიერ თავისი ნების გამოხატულებასთან დაკავშირებით აღტაცებასთან ერთად აღნიშნულ შეხვედრაზე საქართველოს ხელისუფლების მისამართით კრიტიკა ისმოდა. ლიეტუველმა დეპუტატმა ანდრიუს კუბილიუსმა „ქართული ოცნება“ „ანტიევროპულ პროვოკაციასა“ და საბოტაჟში დაადანაშაულა.

„ამიტომ არიან მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გვარამია ციხეში, ამიტომაა, რომ ახლახან მოწმე გავხდით „უცხოეთის აგენტების“ შესახებ კანონის გარშემო ამბისა... ნუ ვიქნებით გულუბრყვილოები. ეს არაა ხელისუფლების მხრიდან უკანასკნელი პოლიტიკური ანტიევროპული პროვოკაცია“ - თქვა ანდრიუს კუბილიუსმა.

ბოლო ხანებში მიხეილ სააკაშვილის სახელი ხშირად ისმის სტრასბურგის სხდომათა დარბაზში. უკანასკნელ ოთხ თვეში ევროპის პარლამენტმა ორჯერ მიიღო რეზოლუცია, სადაც საქართველოს ხელისუფლებას მისი გათავისუფლებისკენ მოუწოდა, ბიძინა ივანიშვილი კი „ოლიგარქად“ შერაცხა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაწვეული კანონპროექტებისა და ცნობილი აქციების შესახებ არც ევროპარლამენტართა შეხედულებები გამოდგა ერთგვაროვანი. წინა კვირის მოვლენებს დადებითად ყველა როდი თვლიდა. მემარცხენე პარტიის წევრი, ირლანდიელი მიკ უოლესი არ ფიქრობს, რომ საქართველოში პროტესტი სტიქიური იყო.

„მთელი საშუალო კლასი დამოკიდებულია [არასამთავრობო] სექტორზე და უცხოურ დაფინანსებაზე. კანონმა ვნებათაღელვა იმიტომ გამოიწვია, რომ მან ადამიანების შემოსავალს შეუქმნა საფრთხე. პრორუსულობა ან პროდასავლურობა არაფერ შუაშია“, - თქვა მიკ უოლესმა.

მან ასევე დაამატა, რომ ევროკავშირის მხრიდან „ფარისევლობაა“, შეეწინააღმდეგოს კანონს „უცხოეთის აგენტებზე“, რადგან ბრიუსელი თავადაც ფიქრობს უფრო მკაცრად იმის გაკონტროლებას, თუ რა ფული შემოდის ევროკავშირში უცხოეთიდან.

მიკ უოლესს დაეთანხმა დამოუკიდებელი ჰოლანდიელი დეპუტატი მარსელ დე გრააფიც. მან გაიხსენა, რომ ორ ევროპარლამენტარს ბრალი ედება ქრთამის აღებაში კატარის ინტერესების სასარგებლოდ.

„კატართან დაკავშირებული ენჯეოები ამ პარლამენტმა აკრძალა, რადგან გვინდა შევზღუდოთ გარე ზეგავლენა ნებისმიერ ფასად. სავსებით სამართლიანია. ამავდროულად, [სხვა ქვეყნების] ენჯეოებს მილიონებს ვუხდით პოლიტიკური პროცესების დასაჩქარებლად... საქართველოს პარლამენტს სურს, მიიღოს კანონი უცხოური გავლენის შესაზღუდად და ახლა ისევ შოკირებულები ვართ, რადგან დემოკრატია თურმე საფრთხეშია...“ - თქვა მარსელ დე გრააფმა.

დეპუტატმა, ფაქტობრივად, გაიმეორა ის ყველაფერი, რასაც ევროკავშირის შესახებ საქართველოში ამბობენ ულტრამემარჯვენე, ანტიდასავლური ძალები. ევროპარლამენტში დებატების დაწყებამდე ზუსტად 9 საათით ადრე მათ თბილისში, პარლამენტის წინ, სამარცხვინო ქმედება ჩაიდინეს - ევროკავშირის დროშა დაწვეს.

14 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის დროშის ხელყოფა დაგმო. „დროშა სათანადო პატივით დაბრუნდება თავის ადგილზე. რაც შეეხება ლოზუნგების მოყვარულ დეპუტატებს, რომლებიც მოგვიწოდებენ სხვადასხვა სიმბოლიზმისკენ, ეს არასერიოზული მიდგომაა. როდესაც პარლამენტის შენობის ფანჯრები იმსხვრეოდა, მაშინ უნდა ეფიქრათ ევროპაზე. თუკი ევროპაზე საუბრობენ, ევროპის დროშა მათ გულში უნდა ფრიალებდეს და მათი ქცევა უნდა იყოს ევროპული“, - თქვა 14 მარტს გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა, დროშა კი ადგილზე სამართალდამცველებმა მალევე დააბრუნეს.

თბილისში ხალხის მღელვარების დაწყებისთანავე აშშ-იდან ორჯერ მიმართა საქართველოს მოქალაქეებს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა - ერთხელ ვეტოს დადების დაპირების გამეორებით, შემდეგ კი მისალოცად, როდესაც მმართველმა გუნდმა („ხალხის ძალა“ სწორედ ამ გუნდთან ასოცირდება) კანონპროექტების უპირობოდ გაწვევის გადაწყვეტილება მიიღო. სწორედ ამ მიმართვისას დაჰპირდა იგი საქართველოს მოსახლეობას:

„დღეს საჭიროა, რომ გავამაგროთ პოზიციები და ამ პოზიციების გამაგრებაში თქვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები არის ძალიან მნიშვნელოვანი და ეს უნდა გავაჟღერო და მივიტანო ყველგან, ყველა ჩვენს პარტნიორთან, რომ ჩვენ მათ გავაგებინოთ - ახლა მათი სტრატეგიული გადაწყვეტილება უნდა იყოს საქართველოს სასარგებლოდ, რადგან საქართველომ დაანახა - სად დგას და ამაში არავის შეიძლება შეეპაროს ეჭვი“, - თქვა მან და, მართლაც, მისი ტურნე ამერიკიდან ევროპაში კარგა ხანს გაგრძელდა, რომლის განმავლობაში არაერთ თვალსაჩინო ფიგურას შეხვდა.

ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტ ბაიდენის მრჩეველ ჯეიკ სალივანს სალომე ზურაბიშვილი 10 მარტს შეხვდა, შეხვედრაზე ამერიკულმა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა აუცილებლობა, რომ საქართველო „არ იქცეს დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებზე გვერდის ავლის გზად“,

„პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს კიდევ ერთხელ დავუდასტურეთ ევროკავშირის ერთგულება საქართველოს ევროპული გზის მიმართ და მივესალმეთ მის როლს საქართველოს ხალხის მისწრაფების წინ წაწევაში. ხელიდან არ უნდა იქნეს გაშვებული ევროკავშირის ევროპული საბჭოს ისტორიული გადაწყვეტილება - საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების შესახებ“, - დაწერა სალომე ზურაბიშვილთან 14 მარტს ბრიუსელში გამართული შეხვედრის შემდეგ ტვიტერზე ევროკავშირის ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა და იქვე დაამატა, რომ ახლა ძალიან მნიშვნელოვანია „პროგრესი რეფორმების განხორციელებაში“.

ევროკავშირის ოფიციალური წყაროს ცნობით, სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრაზე მიშელმა განაცხადა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს ქართველ ხალხს, მიესალმება საქართველოს პარლამენტის მიერ კანონპროექტების ჩაგდებას და აფასებს პრეზიდენტის ძალისხმევას, რათა „ჩამოყალიბდეს ერთიანი, ინკლუზიური და გაღრმავებული მიდგომა იმ რეფორმებისადმი, რომლებიც აუცილებელია საქართველოს ევროკავშირის წევრობის მიმართულებით წინსვლისათვის“.

ექსპერტების შეფასებით, სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ წონას საერთაშორისო პარტნიორებისთვის განსაზღვრავს ის, რომ სახელმწიფოს მეთაურია და ხალხის ლეგიტიმაცია აქვს, რადგან ბოლო პრეზიდენტია, რომელიც ხალხმა აირჩია.

როგორც ვხედავთ, კონფრონტაცია ქვეყნის შიგნით პრობლემებს გვიქმნის ქვეყნის გარეთაც. ახალი არაფერია იმაში, რომ საქართველოში ერთმანეთის გაგება კი არა, უბრალოდ, მოსმენაც კი უჭირთ, რამაც ბოლო დროს უფსკრული გააჩინა ე. წ. რუსეთუმეებსა და ულტრალიბერალებს შორის. არის ქართველების ის ნაწილიც, რომელიც მოვლენების საღად გაანალიზებას ცდილობს, თუმცა უკიდურესად განწყობილი ადამიანების ქარიშხალი ყველას ერთად სადღაც მიგვაქანებს. ვფიქრობ, გამოსავალი ერთმანეთის მოსმენაშია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპული ღირებულებებისკენ სწრაფვა განვითარებაა, რუსულისკენ - დეგრადაცია, თუმცა ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს, უპირველესად, საკუთარი ინტერესები ამოძრავებს.

მარი მიდასელი

უცხოეთი

შვედეთის პრემიერ-მინისტრ ულფ კრისტერსონის განცხადებით, გაიზარდა ალბათობა, რომ ფინეთი ნატოს წევრი მანამდე გახდება, სანამ ალიანსში შვედეთი გაწევრიანდება. მისივე თქმით, შვედეთის ალიანსში გაწევრიანება მხოლოდ დროის საკითხია. შეგახსენებთ, თურქეთმა, ფინეთმა და შვედეთმა ნატოში გაწევრიანებების პროცესზე მოლაპარაკებები ბრიუსელში გასულ კვირას განაახლეს. შვედეთმა და ფინეთმა ნატოში გაწევრიანებაზე განაცხადი შარშან გააკეთეს, მაგრამ თურქეთის მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდნენ. ანკარა ამტკიცებს, რომ აღნიშნული ორი ქვეყანა „ტერორისტული დაჯგუფებების წევრების თავშესაფარია“.

* * *

რუსული გამანადგურებელი თვითმფრინავი „სუ-27“ ამერიკულ სამხედრო დრონს შეეჯახა. ინციდენტის შემდეგ, აშშ-ს შავ ზღვაში საკუთარი დრონის ჩამოგდება მოუწია. პენტაგონის წარმომადგენელ პეტ რაიდერის თქმით, რუსეთს ამ დროისთვის ჩამოვარდნილი დრონი არ აღმოუჩენია. ამერიკული მხარის განცხადებით, დრონი რუტინულ მისიას ასრულებდა საერთაშორისო საჰაერო სივრცეში, როდესაც ორი რუსული სამხედრო თვითმფრინავი მის ჩაჭრას შეეცადა. რუსული მხარე აცხადებს, რომ ამერიკულ თვითმფრინავებს რუსეთის საზღვართან არაფერი ესაქმება. აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორ ჯონ კირბის განცხადებით, აშშ არ შეწყვეტს ფრენას შავი ზღვის თავზე.

* * *

ლიეტუვის სეიმმა რუსული კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერი“ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა. ლიეტუვის საკანონმდებლო ორგანოს მიერ ერთსულოვნად მხარდაჭერილ რეზოლუციაში „ვაგნერის“ დაქირავებულ მებრძოლებს ბრალს სდებენ „სისტემატურ სერიოზულ დანაშაულებში“, რომლებიც მათ უკრაინაში ჩაიდინეს. რეზოლუციაში ასევე აღნიშნულია, რომ „ვაგნერის“ მებრძოლები რუსეთის მთავრობიდან იღებენ სამხედრო ტექნიკას და შეიარაღებას, მომზადებას გადიან რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში და საშიროებას წარმოადგენენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის.

* * *

რუსეთსა და უკრაინას შორის კონფლიქტში კიდევ უფრო ჩარევა აშშ-ის ინტერესებში არ არის, - მიიჩნევს ფლორიდის შტატის გუბერნატორი რონ დესანტისი, რომელიც აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს. როგორც საზოგადოებრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, დესანტისი 2024 წლის არჩევნებში ექსპრეზიდენტ დონალდ ტრამპის მთავარ მეტოქედ მოიაზრება.

* * *

ჩრდილოეთ კორეამ აღმოსავლეთ სანაპიროზე მცირე რადიუსის ორი ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა. რაკეტები წყალქვეშა გემიდან გაუშვეს. ფხენიანის ინფორმაციით, საგამოცდო გაშვება სამხრეთ კორეისა და შეერთებული შტატების ერთობლივი წვრთნის დაწყებას დაამთხვიეს. სარაკეტო გამოცდას ჩრდილოეთ კორეა 11-დღიანი სამხედრო წვრთნის ფარგლებში ატარებს.

მოამზადა
ია შველიძემ

„ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ჩვენი თანაქალაქელი ***ბადრი პაქსაძე*** *წლებია, რაც წარმატებით ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას „მშვიდობის ქარტია“. მოქალაქეთა სატკივრის გულთან მიტანა და მათი პრობლემების მოგვარებისთვის დაუცხრომელი ზრუნვა მას თანამოსაქმეთაგან გამოარჩევს. სწორედ ამის გამო ემადლიერებიან არა მარტო აჭარის, არამედ სხვა რეგიონის მცხოვრებლებიც და სამართლიანობის ერთგულ მცველს უწოდებენ. მის მიერ დამსახურებული მრავალი სერტიფიკატი, საპატიო სიგელი და მადლობის ბარათი ამის ნივთიერი გამოხატულებაა. დღეს იგი გაზეთ „აჭარის“ სტუმარია.*

- არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობის ქარტიის“ ბოლოდროინდელ აქტივობებზე გვიამბეთ.

- ჩვენს საქმიანობას დიდად განსაზღვრავს მიმდინარე მოვლენები, ვაანალიზებთ რა მათ, ვმუშაობთ კოალიციურ რეჟიმში სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, ამასთანავე, „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციასთან“ ერთად მოქალაქეებს ვუწევთ კონსულტაციას, ძირითადად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით, ვეხმარებით არსებული პრობლემების გადაჭრასა და მოგვარებაში.

- ამ ეტაპზე, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად რას მიიჩნევთ, რა პრობლემა იჩენს თავს, რომლის გადაწყვეტაზე მუშაობთ?

- ძალიან სავალალოა სოციალური ვითარება, კატასტროფულად გაზრდილია, ძირითადად, სამომხმარებლო კალათის ფასები, უჭირთ პენსიონერებსა და ქრონიკული დაავადების მქონე მოქალაქეებს, სოციალურად დაუცველ ადამიანებს... ერთი მხრივ, მართალია, სახელმწიფომ დაიწყო ზრუნვა მედიკამენტების ფასების რეგულირებისთვის, მაგრამ მსხვილი მეწარმეები ურთიერთშეთანხმებით ზრდიან ფასებს. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება საკუთარ თავზე სახელმწიფომ უნდა აიღოს.

- თქვენი მუშაობის მონიტორინგს ვინ ახორციელებს?

- დამოუკიდებელი ვართ ჩვენს საქმიანობაში, ანგარიშვალდებული ვართ მხოლოდ საზოგადოების წინაშე. საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ვაკეთებთ ჩვენს საქმეს და არავის დაკვეთას არ ვასრულებთ, ვგრძნობთ ხალხის ტკივილს, მათ სამართლიან გულისწყრომას... თავს ვალდებულად ვთვლით, დავდგეთ მოქალაქეების გვერდით, გავუწიოთ თანადგომა, რეალურად შევაფასოთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, თეთრს ვუწოდოთ თეთრი, შავს - შავი და უანგაროდ ვაკეთოთ კეთილი საქმე. დავიცვათ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ინტერესები.

- ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობისთვის მუშაობის რა სტილსა და მეთოდებს ამჯობინებთ?

- უპირველესად მივიჩნევთ სამართლიანობისა და კანონიერების ფარგლებში ორგანიზაციის საქმიანობას. დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე, წინა პლანზეა წამოწეული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და განვითარება; განათლება და რეგიონალური განვითარება; მოქალაქეთა სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება და ადამიანის უფლებების დაცვა; რელიგიურ ურთიერთობებში დიალოგის უზრუნველყოფა; ეკომიგრანტ და უსახლკაროთა, უსახსროდ დარჩენილ ოჯახთა, ვეტერანებისა და ხანდაზმულთა, ქალთა, სოციალურად დაუცველ ოჯახთა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა უფლებების დაცვა და დახმარება. ასევე, ყურადღებას ვუთმობთ დემოკრატიული ფასეულობების პროპაგანდასა და ცხოვრებაში დამკვიდრებას, საზოგადოებაში სამართლიანი გარემოს შექმნას.

- როგორია საზოგადოების ჩართულობა ორგანიზაციის საქმიანობაში?

- უმთავრესი და მნიშვნელოვანია მუდმივი კომუნიკაცია საზოგადოებასთან, მოქალაქეებთან... რაც უფრო ახლოს ხარ მათთან, მით მეტია ურთიერთგაგება და პატივისცემა... მუდმივად ვაფასებთ და ვითვალისწინებთ მოქალაქეთა შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.

- სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორ თანამშრომლობთ?

- არაფერი გვაქვს ვინმეს საწინააღმდეგო, არც რაიმე გასაყოფი. ვითვალისწინებთ მოსაზრებებს, საჭიროების შემთხვევაში ერთობლივად განვიხილავთ პრობლემურ საკითხებს. ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციასთან შეგვიძლია ვითანამშრომლოთ, ყველასთან, ვინც იღვწის ქართული სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, ვინც მტკიცედ დგას ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე, ვინც აცნობიერებს თავის ვალდებულებებს... სწორედ ამ პრინციპების დაცვით ჩამოყალიბდება დემოკრატიული, თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოება, ესაა ჩვენი მიზანი და ამოცანა, რასაც არ გადავუხვევთ.

- წლების განმავლობაში მიღებულმა გამოცდილებამ რაში დაგარწმუნათ, რა ცხადყო?

- ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, რაც უფრო აქტიურია საზოგადოება, მით უკეთესია მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება. არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა იბრძოდნენ არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და მთავრობას უნდა წარუდგინონ რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.

- პანდემიამ და ციფრულმა გამოწვევებმა მუშაობის სტილის ტრანსფორმაცია მოითხოვა, ცხადია, თქვენგანაც...

- სიმართლეა, რეალობამ მოითხოვა, რომ ჩვენც უნდა აგვეწყო ნაბიჯი არსებული გამოწვევებისთვის. პანდემიამ გამოკვეთა აუცილებლობა - გამონახულიყო კომუნიკაციის ალტერნატიული გზები, ციფრული ტექნოლოგიის წყალობით შევძელით საზოგადოებასთან წარმატებული ურთიერთობა.

- მრავალმხრივი ინტერესებით გამოირჩევით... პოეზია გიყვართ, წერთ ლექსებს... როგორც პოეტთა საერთაშორისო ორგანიზაციის აჭარის რეგიონის თავმჯდომარეს, ალბათ ამ კუთხითაც დაგიგროვდათ სათქმელი...

- სათქმელს რა გამოლევს. გასაკეთებელიც ძალიან ბევრია... პოეზია მაძლიერებს. მას ვუწოდებ სულის ჟღერად ჰანგებს. რაც სიღრმისეულად გტკივა და გაწუხებს, ყველაფრის ასახვაა შესაძლებელი პოეზიაში. იგი ხელს მიწყობს, ღიად გამოვთქვა და ვაჩვენო პრობლემების გადაჭრის გზები, ლექსით გამოხატული გრძნობა უფრო გასაგებია.

- რა ტრადიციები უნდა შევინარჩუნოთ, რა - უკუვაგდოთ?

- საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3600-წლიანი ისტორია აქვს. ეპოქებში ჩაიკარგა ყველაზე დიდი ერებიც კი, ვისაც არ გააჩნდა საკუთარი ტრადიცია, რელიგია და ა. შ. ისე, რომ მათი ნაკვალევიც არ დარჩენილა. ქართველი ერი არის უძველესი კულტურის, მდიდარი ისტორიის, უნიკალური ტრადიციების მქონე ერი. სწორედ ქართველი ერი, ქართული სახელმწიფო იზრდებოდა და მტკიცდებოდა სარწმუნოებისა და საკუთარი უნიკალური ტრადიციების შესაბამისად. ქართველი ხალხის მისწრაფებები მუდმივად წინ იდგა მსოფლიო ცივილიზაციის გზაზე. მსოფლიო ისტორიაში, მიუხედავად უამრავი ქარტეხილისა, საქართველოს მსოფლიოში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, თავისი მაღალი კულტურით, რელიგიურ, ეროვნულ-ტრადიციულ ფასეულობათა დამახასიათებელი ყველა ატრიბუტით. უმნიშვნელოვანესია ჩვენი წვლილი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. ძალიან ბევრი უიშვიათესი ტრადიცია გაგვაჩნია ქართველებს სტუმარმასპინძლობით დაწყებული, ტოლერანტობით და ზნეობრივი წესჩვეულებით დამთავრებული... რომ არა ჩვენი ეროვნული ტრადიციები, იდენტობას ვერ შევინარჩუნებდით მსოფლიო ცივილიზაციის გზაზე... რაც გაგვაჩნია, მას თვალისჩინივით სჭირდება დაცვა და მოფრთხილება.

- როცა ბათუმის ქუჩებში დაიხართ...

- ჩემი ქალაქი ჩემთვის ყველაფერია, მეამაყება, რომ ვარ მისი მოქალაქე. მინდა ვხედავდე ბათუმს მზესავით გაბრწყინებულს, სიცოცხლით სავსეს, თავს მუდამ რომ ადგას უღრუბლო ცა... მინდა მივმართო ქალაქის მერიას, ბათუმის განაშენიანება იმ ფორმატში წარიმართოს, როგორც მას შეეფერება... თითოეული ბათუმელის ვალდებულებაა, იზრუნოს საკუთარი ქალაქის კეთილდღეობისათვის.

- დაბოლოს, შეკითხვა, რომლის დასმასაც ისურვებდით და რას უპასუხებდით?

- რა მოუტანდა ბედნიერებას მოქალაქეებს, თანაქალაქელებს? ვისურვებდი, ჩემს ქვეყანაში ადამიანები ერთმანეთს შეჰხაროდნენ მომღიმარე სახეებით... ერთხელ და საბოლოოდ უნდა დასრულდეს გაუთავებელი პოლიტიკური კინკლაობა, დავა, სიძულვილის ენით საუბარი, ყოველგვარი ურთიერთდაპირისპირება, რაც მთლიანობაში აზიანებს ქვეყნის იმიჯს... 3,7-მილიონიანი ერისათვის აუცილებელია ეროვნული კონსოლიდაცია. უნდა დაისახოს გზები ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანებისთვის, აუცილებელია ეროვნული შერიგება, რაც ბოლოს მოუღებს პოლიტიკურ მტრობას. დღეს, როგორც არასდროს, ერთმანეთის სიყვარული გადაგვარჩენს. ვიყოთ სამართლიანები და მიმტევებლები, პატივი ვცეთ განსხვავებულ აზრს, ერთად ვაშენოთ ქვეყანა, ვიბრძოლოთ უკეთესი მერმისისთვის.

> ❝ *დამოუკიდებელი ვართ ჩვენს საქმიანობაში, ანგარიშვალდებული ვართ მხოლოდ საზოგადოების წინაშე. საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ვაკეთებთ ჩვენს საქმეს და არავის დაკვეთას არ ვასრულებთ, ვგრძნობთ ხალხის ტკივილს, მათ სამართლიან გულისწყრომას... თავს ვალდებულად ვთვლით, დავდგეთ მოქალაქეების გვერდით, გავუწიოთ თანადგომა, რეალურად შევაფასოთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, თეთრს ვუწოდოთ თეთრი, შავს - შავი და უანგაროდ ვაკეთოთ კეთილი საქმე*

უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, რუსული ძალების მიერ დონეცკის ოლქის ქალაქ კრამატორსკში განხორციელებული სარაკეტო დარტყმის შედეგად მინიმუმ სამი ადამიანი დაშავდა, ერთი კი - დაიღუპა. „კრამატორსკი. რუსულმა რაკეტამ ქალაქის ცენტრს დაარტყა. დაზიანდა ექვსი მაღალსართულიანი შენობა. სულ მცირე სამი ადამიანი დაშავდა. ერთი ადამიანი დაიღუპა. ვუსამძიმრებ ოჯახს! სამაშველო სამუშაოები ამ დრომდე გრძელდება. ბოროტი სახელმწიფო აგრძელებს ბრძოლას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სიცოცხლეს ანადგურებს და ადამიანურს არაფერს ტოვებს. ყოველ დარტყმას, რომელსაც ეწირება უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე, უნდა მოჰყვეს კანონიერი და სამართლიანი განაჩენი, რომელიც დასჯის მკვლელობას. აუცილებლად ასე იქნება“, - წერს ზელენსკი „ტელეგრამზე“.

* * *

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრეი ერმაკმა ლიეტუვის პარლამენტს რუსული კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებისთვის მადლობა გადაუხადა. „მადლობა ლიეტუვის სეიმს რეზოლუციის მიღებისთვის, რომლითაც რუსული „ვაგნერი“ ტერორისტულ ორგანიზაციადაა გამოცხადებული“, - აღნიშნა ერმაკმა. უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით, სხვებმაც უნდა მიბაძონ ლიეტუვას და დამნაშავეებს დამნაშავეები ეწოდოთ.

* * *

აშშ-ის ძალები, უკრაინის შეიარაღებული ძალების წარუმატებლობის შემთხვევაში, შესაძლოა უშუალოდ ჩაერიონ უკრაინის კრიზისში, - განაცხადა ამერიკელმა ჟურნალისტმა სეიმურ ჰერშმა ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის „კომიტეტი რესპუბლიკისთვის“ შეხვედრაზე. როგორც ჰერშმა აღნიშნა, უკრაინაში ვითარება შეერთებული შტატებისთვის შესაძლოა ვიეტნამის კამპანიის სცენარით განვითარდეს, ვინაიდან, იარაღის მიწოდების მიუხედავად, უკრაინის ჯარებმა შეიძლება ვერ გაუძლონ სიტუაციას. ამასთან მან გაიხსენა სტალინგრადის მახლობლად გამართული ბრძოლების გამოცდილება, როდესაც საბჭოთა არმიამ სიტუაციის გარდატეხა შეძლო. „ნუთუ მართლა გვინდა ამ ბიჭებთან ჩხუბი? არა მგონია“, - შენიშნა ჟურნალისტმა. გასულ კვირაში სეიმურ ჰერშმა განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციას საგარეო პოლიტიკაში მისი კოლეგა ვლადიმირ პუტინისა და კომუნიზმის სიძულვილი ამოძრავებს.

* * *

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ანდრეი ერმაკის თქმით, რუსებმა ხარკოვზე სარაკეტო დარტყმა ერთ-ერთი სკოლის სიახლოვეს განახორციელეს. მისი თქმით, სკოლის შენობა ნაწილობრივ დაზიანებულია. „საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის“, - დაწერა ერმაკმა „ტვიტერზე“. უკრაინული მედიის ცნობით, ქალაქ ხარკოვზე იერიში რუსეთის ბელგოროდის რეგიონიდან, შ-300 ტიპის რაკეტით განხორციელდა.

* * *

„უკრაინის სამხედრო ძალების ხარისხი, რაც სერიოზულ უპირატესობად ითვლებოდა რუსეთთან მიმართებაში, ერთწლიანი ომის დროს მიღებული დანაკარგის გამო გაუარესდა, რის გამოც ზოგიერთი უკრაინელი ოფიციალური პირი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს უკრაინის მზადყოფნას, გაზაფხულზე კონტრშეტევა წამოიწყოს“, - წერს ამერიკული გამოცემა „The Washington Post-ი“ სტატიას სათაურით - „უკრაინას გამოცდილი ჯარისკაცებისა და საბრძოლო მასალის დანაკლისი აქვს - დანაკარგები, პესიმიზმი იზრდება“. გამოცემის ცნობით, აშშ-ისა და ევროპელი ოფიციალური პირების შეფასებით, 120 ათასი უკრაინელი ჯარისკაცი დაიღუპა ან დაიჭრა გასული წლის დასაწყისში რუსეთის შეჭრის დაწყების შემდეგ, ხოლო რუსეთის მხრიდან დანაკარგი 200 000-ს შეადგენს, თუმცა გაცილებით დიდი ჯარი ჰყავს და დაახლოებით სამჯერ მეტი მოსახლეობა. გარდა ამისა, უკრაინა დანაკარგების შესახებ ინფორმაციას ყველაზე მტკიცე მოკავშირეებსაც კი არ უზიარებს. „გამოუცდელი წვევამდელების ნაკადმა, რომლებიც დანაკარგების შესავსებად გამოიძახეს, შეცვალა უკრაინის ძალების პროფილი, რომლებიც ასევე განიცდიან საბრძოლო მასალის მწვავე დანაკლისს“, - ნათქვამია სტატიაში. „უკრაინის მიერ კონტრშეტევის განხორციელების უუნარობა გამოიწვევს ახალ კრიტიკას იმის თაობაზე, რომ შეერთებული შტატები და მისი ევროპელი მოკავშირეები ძალიან დიდხანს ელოდნენ, რათა გაეღრმავებინათ საწვრთნელი პროგრამები და მიეწოდებინათ ჯავშანტექნიკა, მათ შორის „ბრედლისა“ და „ლეოპარდის“ საბრძოლო ტანკები“, - აღნიშნულია სტატიაში. ამერიკე-ლმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახლა ბრძოლის ველზე არსებული ვითარება შესაძლოა არ ასახავდეს უკრაინის ძალების სრულ სურათს, რადგან კიევი ცალკე ამზადებს ჯარებს მომავალი კონტრშეტევისთვის. ანდრეი ერმაკმა, უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელმა, განაცხადა, რომ უკრაინული ძალების მდგომარეობა არ ამცირებს მის ოპტიმიზმს მომავალი კონტრშეტევის მიმართ. გაზეთი „The Washington Post-ი“ აღნიშნავს, რომ უკრაინის მთავრობის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა დასავლეთის მიერ დაპირებული ტანკების რაოდენობას სიმბოლური უწოდა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„პაროლი“ – იდუმალების შესაცნობად

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ზეინაბ მეტრეველმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. უკვე წლებია, ეს ინტერესი სულ უფრო ძლიერდება. წარმატება ხვდა წილად მის რომანს „საყდრის ჩიტები“, ხოლო ლექსებმა პოეზიის არაერთი მოყვარულის გული დაიპყრო. ისიც სათქმელია, რომ ლიტერატურულ ინტერნეტგვერდებზე განთავსებულ მის ლექსებს ასობით მკითხველი იწონებს, ხოლო ლექსი „მე რომ მიყვარდი“ („მე რომ მიყვარდი, სიყვარული სად იყო მაშინ...“) გამორჩეულად უყვართ. ეს ხომ მისი შემოქმედების უნიკალური პაროლია და ნამდვილად არ იყო შემთხვევითი, რომ მწერლის შეხვედრას ბათუმელ მკითხველებთან სწორედ ამ ლექსის პათოსი გასდევდა. საოცარი ზეინაბ მეტრეველი - ასე აღიქვამს მას მკითხველი, როცა მის ლექსებს ეცნობა, როცა მასთან დიალოგს მართავს. დღევანდელი ეს ინტერვიუც ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო გამოკვეთს.

- ზეინაბ მეტრეველი - ზეინაბ მეტრეველის შესახებ...

- ისეთი არაფერი გაუკეთებია, სათქმელად ღირდეს.

- თქვენი პოეზია - სულის ბიოგრაფია თუ აღსარება?

- მიტევებამდე - ერთი ღრმა ამოსუნთქვა.

- იქმნება შთაბეჭდილება, რომ მეტაფორების საბადოს მიაგენით.

- სადაც ყველაზე დიდი ტკივილებია, მეტაფორებიც იქ ბინადრობენ და შენ რომ არც გინდოდეს, თავად გიპოვნიან.

- „მე რომ მიყვარდი, სიყვარული სად იყო მაშინ...“ - ასე მგონია, ეს ფრაზა თქვენი შემოქმედებისა და ცხოვრების ლაკმუსია.

- დიახ, სიყვარული უპირველესია, ის მაგიური სიტყვაა, „პაროლი“ - იდუმალების შესაცნობად, ზღურბლზე თავდადრეკილს რომ დაგცდება და რითაც შეიცნობა შენში ფორმა, არსი, სქესი, სახე.

- რომანის ავტორი ხართ, წარმატებული პროზაიკოსი. და მაინც... პროზა თუ პოეზია, სად შეძელით სასურველად თვითრეალიზება?

- პროზით დავიწყე, ისე, როგორც იწყება ცხოვრება და მერე ცოტა მოვინდომე, რომ ერთფეროვანი დღეების გაელვებები პოეზიად მექცია. უბრალოდ, ეს იყო მცდელობა და გამომივიდა თუ არა, ეს მკითხველმა უნდა შეაფასოს. რაკი პროზით დავიწყე, თავი პოეტად არასოდეს ჩამითვლია, ეს არც თავმდაბლობაა და არც პოზა, რადგან ჩემი ლექსების უმეტესობა ისეთ მარტოობაშია დაწერილი, ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ის ფართო საზოგადოებისთვის იქნებოდა „გამოსადეგი“. პოეტი მაგიდასთან ზის და მუშაობს ფორმაზე, სტილზე, ლექსიკური მარაგის ძიებაზე, მე კი მხოლოდ მაშინ ვწერ, როცა ის თავისით მოდის, კარზე დაუკაკუნებლად და მოუბოდიშებლად - ხან სად მომისწრებს და ხან - სად... მოდის და არასოდეს ვფიქრობ, რა ჩავცვა და დავახურო, არც მოდასაყოლილები არიან და არც მთლად შიშველნი, ლექსმა თავად უნდა მოიხდინოს ის, რაც მისი შობისთვის გაუმეტებია ღმერთს. მგონია, მშობიარობის ტკივილით დაბადებულ ლექსებს შენს პირველყოფილ სამყაროსგან ჭიპლარით ვერასოდეს მოჭკვეთ...

- არც ჟურნალისტიკაა თქვენთვის უცხო. ხომ არ გაიხსენებთ ამ სფეროში მუშაობის საგულისხმო მომენტებს და რას ფიქრობთ თანამედროვე ჟურნალისტებზე?

- ჟურნალისტად ყველაზე ნაკლებად ჩავთვლიდი თავს, რადგან იმდროინდელ ჩარჩოებში მხოლოდ ზუსტი ფაქტები, რიცხვები და ტერმინები უნდა ჩამეტია, მე კი ბუნებით რომანტიკოსი ვიყავი და უბრალო, არაფრისმთქმელ მასალაში ისეთ „პოეტურ ფრაზებს ვაკვეხებდი“ ხოლმე, რომ მთელ საგაზეთო სტატიას „ვაფუჭებდი“. ამდენად, არც ჟურნალისტად მიმიჩნევია თავი, უბრალოდ, ვმუშაობდი. საერთოდ, ყოველთვის მიჭირდა სახელების დარქმევა ჩემი თავისთვის, დღესაც არ ვიხედები ჩემი სახელის დაძახებაზე, თუ იქ, იმ ადგილას ნამდვილად არ დამიგულებია თავი... დღეს კი ისე ადვილად იჭერენ მიკროფონს, რომ გაოცდები. ანაკუწებენ და ჩეხავენ ჩვენს უნიკალურ ენას და ისე საუბრობენ, ვერც კითხვას გაიგებ და ვერც პასუხს. რაც ყველაზე შემზარავია, ბილწსიტყვაობა იქცა მეტი დამაჯერებლობის, სიმართლის დამტკიცების „დედაბოძად“. დიახ, ბილწსიტყვაობა ფიცის სინონიმად იქცა. სოციალური სივრცე სავსეა ასეთი „ფიცილებით“ და ამას მოისმენ იმათ პირიდან, ვინც სხვებს უნდა ასწავლიდეს სიტყვით ავსილი მშვენიერების განცდას. როგორც ყველა სფერომ, ჟურნალისტიკამაც იმ „ნიშას“ შეაფარა თავი, სადაც სხვადასხვა „ნიშნით“ გამორჩეულობა თავმოსწონი გახდა.

- პრობლემა, რომელიც ამ ეტაპზე მეტად გაღელვებთ...

- მიგრაცია - დაიცალა სოფლები, ქვეყნიდან გაედინება ნიჭი, ახალგაზრდობა, ინტელექტი. რაც ყველაზე შემზარავია, აქედან წასულებმა არ იციან აქ დაბრუნების ზუსტი დრო, მიახლოებითაც კი ვერ საზღვრავენ იმ შორეულ სიახლოვეს, როცა ადგილის დედას მიეახლებიან... უცებ ბერდება ქვეყანა აქ დარჩენილი ძველი და ვერსადწამსვლელი თაობებით, ხვალე კი თავისას ითხოვს - შენებას, სისხლს, სიყვარულს. ასე მგონია, დღეს საქართველოს ბებერ კალთაში ბავშვობა აღარ უზის, რადგან გენის, ჯიშის მშენებლები ქვეყნიდან შორს, „სალუკმაპუროო ობიექტებზე“ მუშაობენ, იხარჯებიან, იქანცებიან და ამ მიწის მონატრებით ავადდებიან.

- ისტორიული პერსონაჟი, რომელიც უნდა გამოვიხმოთ წარსულიდან...

- კონსტანტინე გამსახურდიას რომანს „მთვარის მოტაცებას“ თითქმის ყოველ წელს ვკითხულობდი ახალგაზრდობაში და ყოველი წაკითხვისას იმაზე მეტს ვიგებდი, ვიდრე რამდენიმე მწერლის შემოქმედების გაცნობისას. დღეს თუ ვინმეს გამოვიხმობდი, ეს თარაშ ემხვარი იქნებოდა, ვინც კაცურად შეძლო ევროპელობის ღირსებით ტარება, ისე, რომ საკუთარ ფესვებს არ მოწყვეტოდა. პირიქით, მან შეძლო თავის თავში გადაენახა მამაკაცური თავშეკავებულობა, უკომპრომისობა, საკაცობრიო და ქართული ღირებულებების ერთობლიობა, რომელზეც შენდება ყველა რასის ინდივიდი, პიროვნება, ვისაც შეუძლია ისე გადაღებოს წარსულის ფასადი, აწმყოს მარწუხებში მოქცეულ წარსულს ათასწლოვანი არსებობა მწარე სინანულად არ უქციოს, თანაც მაშინ, როცა ჯერ კიდევ გაურკვეველი და ჩამოუყალიბებელია ახალ თაობათა განწყობა - მოგიტევებს თუ არა იმად ყოფნას, როგორადაც დაიბადე და როცა დაიბადე, როცა ადამიანად ყოფნის ღირსებას ატარებ, ძნელია, დროისა და ადგილის კვეთისას იმ მიმართულებას გაჰყვე, სადაც ისეთი წარმოჩინდები, როგორიც სინამდვილეში ხარ. „მედროვეთა მუნდირი“ მაღალჩინიანია, მაგრამ მის მატარებელთა უმრავლესობა იმავე დროის „კეთილშობილი ჯალათია“, რომელსაც ემსახურება...

- „ქმნა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ - რუსთაველის ეს და სხვა აფორიზმები, როგორც ჩვენი ცხოვრების გზის მუდმივი შუქნიშნები...

- მარადიული სატკივარია, „ქმნა მართლისა სიმართლისა“... ალბათ, ედემიდან უფლისაგან გაძევებულ ადამს და ევასაც არ უთქვამთ, ნამდვილად რისთვის გამოაძევეს ისინი. ადამიანურ შეცოდებათა უმრავლესობა ტყუილის თქმის დიდი ნიჭიერებით გამოირჩევა, ჩვენ ბევრი მაგალითი ვიცით იმისა, დიდი ნიჭიერებაც როგორ გადამტერებია სამართლეს, როცა მას ზნეობის მარწუხებიდან თავისი დროის ან, თუნდაც, მთელი ეპოქის გათავისუფლება მოუწადინებია... ზოგჯერ გამოსვლია კიდეც და გამარჯვებითაც დამტკიცებულა, მაგრამ მერე მოდიოდა დიადი ცვლილებები და ეს ფრიად დიდი ნიჭიერება ისეთ დავიწყებაში დანთქმულა, რომ თაობებს აღარც გახსენებიათ. დღეს ტყუილის სიმართლედ გასაღების იმდენი საშუალებაა, რომ ზოგჯერ თავად იჯერებ, რაც შენი გამონაგონია. ფუძნდები მასზე, შენდები, მაღალი იერარქიული ჭერით, მატერიალური სამშვენისებით სავსე კედლებით და ერთ დღეს ინგრევი, რადგან ლეგენდებად და მითებად შეფუთული სიცრუე ბერწის თავგამოდებით ვერ შობს იმ მარადიულობას, რომელიც მყარი არსებობის კირითხუროებს გაზრდის. დრო შენს კალპოტშიც რომ მოაქციო, მიწისქვეშა დინებით მაინც მომავლის ზღვას შეუერთდება.

- სიტყვა, რომელიც უნდა აღზევდეს...

- „სამშობლო“ - ყველაზე მეტად ზიანი ამ სიტყვას მიადგა. ეს სიტყვა შეიძლება ათას ენაზე თარგმნო ათასგვარი განმარტებით, მაგრამ გრძნობით მხოლოდ მშობლიურ ენაზე გრძნობ, განიცდი... დღეს თითქმის ჩამორჩენილობად მიიჩნევა მისი ემოციითა და სათქმელის კონტექსტში გამოყენება. გლობალურ მიღწევებს ადამიანისგან სწორედ ის განცდები გაქვს, რაც ინდივიდუალიზმს უნარჩუნებს. ახლა ყველა ერთმანეთს ვგავართ პლასტიკური ოპერაციების ჩარევით, მიმბაძველობით, თავის გამოჩენის უნიჭობით. იმ რამდენიმე სიტყვასაც კი არ ვამბობთ, საკუთარი იდენტობის პაროლად მაინც რომ გამოგვადგება. მშობლიური, ორიგინალიდან სხვათა გასაგებად მხოლოდ იმიტომ ვითარგმნებით ასე უემოციო, არაფრისმთქმელი ენით, რომ ჩვენივე წიაღში ჩაკირულ იმ რამდენიმე სიტყვას არ ვგავდეთ, რომლის ზუსტი თარგმანი არ არსებობს. ჩვენ დღეს ჯერ კიდევ იმით გვიდგას სული, რაც სხვებისთვის გაუგებარია, ამოუხსნელია, ნიჭის, ეროვნული თვითშეგნების, „ჩამორჩენილობით“, ჩვენ გვიყვარს იმათი მოსწავლეობით თავგამოდება, ვინც ჩვენს „მოძღვრებს“ შეგირდადაც არ გამოადგებოდათ, ყველაზე მძიმე დროა პატარა ერებისთვის, ისეთი ათასწლოვანი ერებისთვის, როგორიც ჩვენ ვართ. საყოველთაო „ჰუმანურობის“ იდეით, ყველაში და ყველაფერში გათქვეფით ისეთ კერძს ამზადებენ, რომელიც ღმერთის საკურთხად არ გამოგვადგება.

- „რა ენა წახდეს“... რას ფიქრობთ თანამედროვე ქართველის მეტყველებაზე?

- არცერთი წმინდანად შერაცხული არ უწამებიათ ისე, როგორც ჩვენ ვაწამებთ ქართულ ენას. პირის ნიშნების, ბრუნვისა და უღლების თანამედროვე „მეთოდიკა“ იმდენად ამაზრზენია, რომ კიდევაც კარგად გვესმის ერთმანეთის, ამიტომაც არის ტელევიზიის, პუბლიკის, სოციალური სივრცის „პედაგოგთა“ გაკვეთილებიდან ვერც აზრი გამოგვაქვს და ვერც საფიქრალი, ჟურნალისტი რომ იტყვის „სახალხო დამცველობის მოადგილეო“ და ასე შემდეგ, რაღა უნდა გაგვიკვირდეს, „თოქშოუების ელიტამ“ კი „ბარბაროსად“ გვიქცია დედაბოძი, სკოლაში სწავლების უცნაურმა და ყოველწლიურად ცვალებადმა მეთოდიკამ ბავშვს რუსთაველი და გურამიშვილი შეაძულა, უნივერსიტეტის სტუდენტმა არ იცის რეალური და ლიტერატურული გმირების წარმომავლობა. ერთი სიტყვით, ჩვენ მივიღეთ ენობრივი „კასტები“ და სამწუხარო ისაა, რომ რაც უფრო „ელიტარულია“ ეს კასტა, მით უფრო გაუგებარია მათი ქართული.

- თქვენი დამოკიდებულება ლიტერატურული პროცესებისა და ლიტერატურის კრიტიკოსებისადმი...

- ბოდიშს ვიხდი ნამდვილი, პირუთვნელი კრიტიკოსების წინაშე, მაგრამ დღეს ყოველ ლიტერატურულ ჯგუფს, მიმდინარეობას თუ კავშირს თავისი კარის კრიტიკოსი ჰყავს. ერთმანეთს ვაქებთ და ერთმანეთში ვანაწილებთ შემოქმედებითი მიღწევებით მოპოვებულ სიგელ-გუჯრებს, ფარატინა დიპლომებს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მათ შორის არ მოვიაზრები, უბრალოდ, ძალიან გაგვიუბრალოვდა ნაღდი გამარჯვებით გამოწვეული სიხარული, თვითკმაყოფილებამ გადაფარა მთავარი სათქმელისადმი დამოკიდებულება. ორი წლის წინ მეც დამაჯილდოვეს გიორგი ერისთავის სახელობის სიგელით და დღემდე არ ვიცი - რისთვის... დიდი დრამატურგი მე არ ვარ და არც თეატრალური კრიტიკოსი გახლავართ... არა, უმადური კი არ ვარ, მადლობის მეტი რა მეთქმის მათ მიმართ, ვინც გამიხსენა, მაგრამ ჩვენ სიგელების, პრემიების და მედლების მიმართულებებსაც კი გზა ავურიეთ - ოღონდ გავცეთ და მივიღოთ და იმას არ ვკითხულობთ, რაში, რატომ, რისთვის? დღეს ყველაზე უპასუხისმგებლო დროა იმისთვის, რომ ჯერ კითხვა დასვა და მერე პასუხი გასცე, რადგან ყოველივე ეს დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ჩვენ პასუხს ვაგებთ ყველა საკუთარ სიტყვასა და ქმედებაზე, შთამომავლობა წინაპრებს ყველაზე მეტად დაუმსახურებელ სახელსა და სახრავს არ პატიობს. არაფერი იშლება უკვალოდ, თუ ღირსეული თანამედროვენი არ ვყოფილვართ, ღირსეულ წინაპრებად მაინც დავბერდეთ, მაგალითი მაინც დავუტოვოთ იმისა, რომ სწორედ მაშინ არ ეგების ყველაფრის მიღება, როცა ამის უამრავი შესაძლებლობა არსებობს.

- როცა უცხო ქვეყანაში გიწევთ ყოფნა, უმთავრესად რა იპყრობს თქვენს ყურადღებას?

- ბედნიერი სახეები, ღიმილი, იმედიანი მზერა და, ვფიქრობ, როგორ მოუხდებოდა ასეთი ღიმილი დედამიწაზე ყველაზე ლამაზ ქართულ სახეს, რამდენ რამეს და რა უბრალოდ დაარქმევდა ბედნიერებას იმას, რის საძებნელადაც გადაიხვეწნენ ადამიანები სამშობლოდან.

- ჩვენი ტრადიციები - თქვენი თვალთახედვით.

- ჩემი მოსაზრება არცთუ დამაჯერებელი იქნება ზოგისთვის, ამიტომ მთლიანად დავეყრდნობი რენე გენონს - დიდ ფრანგ მოაზროვნეს: „ტრადიცია ჭურჭელია, რომელსაც მაღალი ღირებულებები გადააქვს თაობიდან თაობაში“... ვფიქრობ, დასაზუსტებელი არაფერია.

- ციფრული რეალობა, „ჩეთბოტები“, ხელოვნური ინტელექტი წერს და ხატავს და ასე შემდეგ. ეს ეპოქალური გამოწვევა ადამიანისათვის, ბევრს აფრთხობს, ბევრს - პირიქით.

- დღევანდელი ციფრული რეალობისთვის ძალიან ძველი ვარ, თითქმის არქაული, ამიტომ ძლივს ვისწავლე კომპიუტერის გამოყენება. უბრალოდ, ვიცი, რომ დღეს მის გარეშე ხელმოკვეთილი ხარ, ურთიერთობის შეუვალი შუამავალია და მეც, მინდა თუ არა, იძულებული ვარ, მას მივმართო.

- მწერალი, რომლის გაცოცხლებასაც ისურვებდით და მასთან დიალოგს გამართავდით...

იხ. მე-7 გვ.

> *დაიცალა სოფლები, ქვეყნიდან გაედინება ნიჭი, ახალგაზრდობა, ინტელექტი. რაც ყველაზე შემზარავია, აქედან წასულებმა არ იციან აქ დაბრუნების ზუსტი დრო, მიახლოებითაც კი ვერ საზღვრავენ იმ შორეულ სიახლოვეს, როცა ადგილის დედას მიეახლებიან... უცებ ბერდება ქვეყანა აქ დარჩენილი ძველი და ვერსადწამსვლელი თაობებით, ხვალე კი თავისას ითხოვს - შენებას, სისხლს, სიყვარულს*

ირაკლი კობახიძის განცხადებას ბათუმის ოპოზიციური პარტიების წევრები ეხმაურებიან

ზიჟრია დავლაძე 579 25 25 72

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ 14 მარტს პარტიის ოფისში, სპეციალურ ბრიფინგზე, განცხადება გააკეთა. მან საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები შეაჯამა. ბრიფინგის მსვლელობისას პარტიის თავმჯდომარემ „ნაციონალური მოძრაობა“ რამდენჯერმე ახსენა. პოლიტიკოსმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტებსა და სკოლებში წარმოებდა ფაშისტური კამპანია, რაც ბოლშევიზმის უმძიმესი გამოხატულებაა

- გასული კვირის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა ჩვენ მოგვცა ექსტრემისტული ახალგაზრდული პოლიტიკური დაჯგუფებების გაშიფვრის შესაძლებლობა. სწორედ ამ დაჯგუფებების მეშვეობით იყო ორგანიზებული ძალადობრივი ქმედებები სახელმწიფოს წინააღმდეგ თავად „ნაცმოძრაობასთან“, „გირჩთან“, „სირცხვილიასთან“ და „დროასთან“ ერთად. გასულ კვირაში გამოიკვეთა „ფრანკლინის კლუბის“ აქტიურობა. „ფრანკლინის კლუბი“ არის უცხოური გავლენის აგენტი, რომელიც ასეულობით ათასი ლარით ფინანსდება, რომლის მხარდამჭერია ამერიკული ორგანიზაცია „ატლას ნეთვორქი“, რომელიც წარსულში მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში არაძალადობრივ და ძალადობრივ პროტესტს აორგანიზებდა. „ფრანკლინის კლუბი“ პოლიტიკური აქტივიზმისთვის ახორციელებს როგორც სტუდენტების, ისე არასრულწლოვნების რეკრუტირებას. სტუდენტების მობილიზაცია წარმოებს, ძირითადად, ორი უნივერსიტეტის ბაზაზე. ეს არის კახა ბენდუქიძის მიერ თავის დროზე ერთ ლარად მითვისებული „თავისუფალი უნივერსიტეტი“ და გიული ალასანიას მიერ ერთ ლარად მითვისებული „საქართველოს უნივერსიტეტი“. აქტივობებისთვის „ფრანკლინის კლუბი“ ერთგვარად იყენებს „საქართველოს უნივერსიტეტის“ ინფრასტრუქტურას. კლუბის წევრები არიან ზემოთ აღნიშნული უნივერსიტეტების რექტორები ვატო ლეჟავა და კონსტანტინე თოფურია, აგრეთვე სხვა რეაქციონერი „ნაციონალები“, როგორებიც არიან ლევან რამიშვილი, გია ნოდია და სხვები. „ფრანკლინის კლუბში“ ტრენინგებს ატარებენ ზურაბ ჯაფარიძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი მელაძე და ოპოზიციის სხვა ექსტრემისტი ლიდერები, რომლებიც მსმენელებს რევოლუციურ გეგმებზე დაუფარავად ესაუბრებიან. გასულ კვირაში არსებითად სწორედ რადიკალური ოპოზიციის ექსტრემისტული ახალგაზრდული დაჯგუფებების მიერ იყო ორგანიზებული ძალადობრივი აქტები, რომლებიც სამართალდამცავი სტრუქტურების წინააღმდეგ განხორციელდა. ექსტრემისტული აქტივობები, ძირითადად, ხორციელდებოდა ჯინ შარპისა და პიტერ აკერმანის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოების შესაბამისად. სწორედ ამ სახელმძღვანელოებშია დაწერილი ისეთი სიმბოლური აქტები, როგორებიცაა წყლის ჭავლთან დროშიანი მომიტინგის დაპირისპირება, სპეცრაზმელებთან ყვავილების მიტანა და ასე შემდეგ. აგენტების კანონის წინააღმდეგ აგორებულ პროტესტს წითელ ხაზად გასდევდა კამპანია, რომელიც ლიბერალური ფაშიზმის საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად იყო დაგეგმილი. ორგანიზებული ჯგუფების მეშვეობით ხორციელდებოდა უპრეცედენტო ბრძოლა პოლიტიკოსებზე, ცნობად სახეებზე და მათი ოჯახის წევრებზე. გარდა ექსტრემისტული ახალგაზრდული პოლიტიკური დაჯგუფებებისა, ლიბერალური ფაშიზმის კამპანიაში დღემდე აქტიურად არიან ჩართულები ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, ყოფილი სახალხო დამცველი, რადიკალური ოპოზიციის მხარდამჭერი ჟურნალისტები, ენჯეოების წარმომადგენლები, ისევე როგორც რიგითი „ნაციონალები“. ლიბერალური ფაშიზმი „ნაციონალური მოძრაობის“ ძალადობრივი ბუნების კიდევ ერთი გამოხატულებაა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ფაშისტური კამპანია, რომელიც უნივერსიტეტებსა და სკოლებში წარმოებდა. დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც კი, როგორიცაა, სკოლის პედაგოგების მიერ საკუთარი მცირეწლოვანი მოსწავლეების მშობლების მოღალატეებად მოხსენიება, რაც ფაშიზმისა და ბოლშევიზმის უმძიმესი გამოხატულებაა, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ. მის განცხადებას გამოხმაურება მოჰყვა როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებში, ასევე ოპოზიციურ პარტიებშიც. ნაწილი მიიჩნევს, რომ კანონპროექტის გაწვევით ხელისუფლებამ სიტუაცია გაანეიტრალა, თუმცა არაა გამორიცხული, მსგავსი კანონპროექტი პარლამენტმა ისევ განიხილოს. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი მირდატ ქამადაძე მიიჩნევს, რომ კობახიძის განცხადება იმდენად არასერიოზულია, ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს, უფრო მეტიც, ოპოზიციის დღის წესრიგში არც კი უნდა განიხილებოდეს ხელისუფლების მსგავს განცხადებებზე კომენტირება.

- ეს იყო საქართველოს მოსახლეობის პროდასავლურად განწყობილი ნაწილის პროტესტი ოპოზიციური პარტიების ჩარევისა და მართვის გარეშე. სიმართლე გითხრათ, პარტიის ხელმძღვანელების გადასაწყვეტია, აწი რას მოიმოქმედებენ, ექნებათ თუ არა ირაკლი კობახიძის ბრალდებებზე საპასუხო რეაქცია, თუმცა პირადად მიმაჩნია, რომ ირაკლი კობახიძის ეს განცხადება არასერიოზულია და არ ვთვლი საჭიროდ, რაიმე ტიპის პასუხი გავცე. საზოგადოების რეაქციამაც დაადასტურა, რომ მისი ეს კომენტარი სერიოზულად არავის მიუღია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ის პროტესტი, რომელიც საქართველოში რამდენიმე დღე მიმდინარეობდა, სრულიად საქართველოს პროდასავლურად განწყობილი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ბუნებრივი რეაქციაა. ამ ყველაფრის შემდეგ, პროორუსული განწყობის მქონე ხელისუფლების წარმომადგენლის ასეთ გაუგებარ განცხადებაზე კომენტირება არ უნდა იდგეს ოპოზიციის დღის წესრიგში. ოპოზიციას უნდა ჰქონდეს მთავარი დღის წესრიგი, რომელსაც უნდა მიჰყვეს ბოლომდე, - თქვა გაზეთ „აჭარასთან“ საუბარში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა **მირდატ ქამადაძემ.**

„ლელო საქართველოსთვის“ წევრ **ვაჟა დარჩიას** თქმით, არაა გასაკვირი, რომ ხელისუფლება აქციების ორგანიზებას ოპონენტებს აბრალებს:

- მე თავად ვიყავი აქციაზე და ის ხალხი ვნახე, ვინც იქ იმყოფებოდა. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის სრულიად უცნობები იყვნენ. ეს ის თაობა იყო, რომლის კონტროლი არათუ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, არამედ, რიგი მიზეზების გამო, მშობლებსაც კი უძნელდებათ. როგორ შეძლებდა რომელიმე პოლიტიკოსი ამ თაობის მართვას? ეს წარმოუდგენელია, თუმცა ხელისუფლების მხრიდან არის მცდელობა, ეს დაბრალდეს ოპოზიციურ პარტიებს. არცერთი პროტესტისთვის, რომელიც პოლიტიკური პარტიების მხრიდან გამართულა, ყურადღებაც კი არ მიუქცევია „ქართულ ოცნებას“, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ხალხის ძალა რომ დაინახეს, იმიტომაც მოხდა კანონპროექტის გაწვევა პარლამენტიდან. აქციაზე იმყოფებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური გემოვნების ადამიანებიც, მათ შორის მეც. ყველა იქ მდგომი აპროტესტებდა ამ კანონპროექტს, ბუნებრივია. თუ ასეთი მნიშვნელოვანი იყო ეს „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტი, ყველაფრის მიუხედავად, უნდა გაეტანათ ბოლომდე, უნდა ეთქვათ, რომ წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩვენ მივიღეთ და დავამტკიცეთ. უბრალოდ, ეს რეალურად იყო ცუდი, რაც ხალხმაც გაიგო და პროტესტითაც დაფიქსირა. თავად „ქართულ ოცნებაშიც“ იყო სხვადასხვა ტიპის განცხადებები ამასთან დაკავშირებით. მაგალითად, ბატონი სონღულაშვილის განცხადებით, ეს კანონპროექტი თავიდანვე არ იყო მისაღები, შემდეგ დაწერა კიდეც, რაც წაიშლევინეს. აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, როგორი შინაარსის იყო ეს კანონპროექტი, - განაცხადა ბათუმის საკრებულოს წევრმა პარტიიდან „ლელო საქართველოსთვის“ ვაჟა დარჩიამ.

შეგახსენებთ, რომ 7, 8 და 9 მარტს პარლამენტის მიმდებარედ გამართულ საპროტესტო აქციაზე ათასობით მოქალაქე გამოვიდა „რუსული კანონის“ წინააღმდეგ. აქციები მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი მიიღო. აქციის მონაწილეების თქმით, ამ კანონის მიზანი იყო, საქართველოში მოქმედი მედიაორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის „გაშავება“, რომლებიც უცხოური ფულით ფინანსდებიან.

ბატუტის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

12 მარტს ბათუმში, არდაგანის ტბასთან, ღამის 11 საათისთვის, საბავშვო ბატუტი ძლიერმა ქარმა მოგლიჯა და ორი ბავშვი მოიყოლა, რა დროსაც 9 და 3 წლის ძმებმა თავის მძიმე დაზიანებები მიიღეს. უფროსი საავადმყოფოში გარდაიცვალა, უმცროსის მდგომარეობა კი დღემდე სტაბილურად მძიმეა

თვითმხილველების თქმით, კონსტრუქცია მიწაზე ჯაჭვებით იყო მიმაგრებული, მაგრამ ამოვარდნილმა ქარმა ჯაჭვები მოწყვიტა. მათივე თქმით, მოწყვეტილი ჯაჭვები, მოგლეჯილი დენის მრიცხველი და ელექტროგაყვანილობის ნაწილები ატრაქციონის ადგილას ეყარა. იყო თუ არა დაცული უსაფრთხოების ნორმები და მოწმდება თუ არა აღნიშნული ატრაქციონები, ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციას მედიისთვის საერთო განცხადება ამ დრომდე არ გაუკეთებია. ბათუმის მერ **არჩილ ჩიქოვანის** განცხადებით, ბულვარში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით შესაბამისი რეაგირება აუცილებლად იქნება. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, მომხდარის ობიექტურ მიზეზებს გამოძიება დაადგენს.

- ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა. ვუსამძიმრებ ოჯახს. მეორე მცირეწლოვანს ვუსურვებთ გამოჯანმრთელებას. გამოძიების ფარგლებში, დაკავებულია ერთი პიროვნება. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, შემდგომ საგამოძიებო მოქმედებებს ხელი რომ არ შეეშალოს, ინფორმაციის გაჟღერება არ შეგვიძლია. გამოძიება ობიექტურ მიზეზებს დაადგენს, თუ რის გამო მოხდა აღნიშნული ტრაგედია და შესაბამისი რეაგირება იქნება, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

პროკურატურამ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო ე. წ. გასაბერი ბატუტის კონსტრუქციის მოწყობის, ექსპლუატაციის და უსაფრთხოების წესების დაცვაზე, არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები, კერძოდ, ბატუტის მყარ ზედაპირზე არსებულ სამაგრებზე მიბმა ექსპლუატაციის და უსაფრთხოების წესების დარღვევით განახორციელა. დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით (სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) წარედგინა. პროკურატურამ, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართა. გუშინ ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაკავებულ პირს, აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება დანაშაულთან შესაძლო შემხებლობაში მყოფი, სხვა პირების დადგენის მიზნით.

ბათუმის ბულვარში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, ბათუმის საკრებულოს დეპუტატი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი **რეზო ხარაზი** ბათუმის მერის თანამდებობიდან გადაყენებას ითხოვს. როგორც მან ბრიფინგზე განაცხადა, არჩილ ჩიქოვანი ბათუმის ბულვარში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას არ იღებს. მისივე თქმით, ბათუმის მერი ვერ ასრულებს დაკისრებულ უფლებამოსილებას. რეზო ხარაზი ამბობს, რომ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, ბათუმის მერის იმპიჩმენტის საკითხს დააყენებს.

- ამ ქალაქში არავინ არაფერზე პასუხისმგებლობას არ იღებს, განსაკუთრებით ეს ჩანს მერის ნაწილში. გვახსოვს ჩამონგრეული სახლის შემთხვევა, სადაც მთავრობამ არ აიღო პასუხისმგებლობა. ეს ადამიანები მხოლოდ კორუფციასა და „ატკატებზე“ იღებენ პასუხისმგებლობას, ნეპოტიზმით არიან დაკავებული. საკრებულოს უახლოეს სხდომაზე მერის პასუხისმგებლობის და მისი იმპიჩმენტის საკითხს დავაყენებთ, - განაცხადა ხარაზმა.

ცნობისთვის: *ბათუმის ბულვარში ატრაქციონების განთავსებისთვის ყოველ წელს აუქციონი ცხადდება. გამარჯვებულ მოიჯარეს, აუქციონის პირობების თანახმად, ატრაქციონების გამართულობას და უსაფრთხოებაზე საექსპერტო დასკვნის წარდგენა ევალება. ბატუტის განთავსების შემთხვევაში, მოიჯარეს არ აქვს ასეთი ვალდებულება, რადგან საბავშვო ბატუტი საფრთხის შემცველ ატრაქციონად არ მიიჩნევა. ბულვარის ადმინისტრაციის სპეციალური სამსახური კი ამოწმებს ატრაქციონების უსაფრთხოებას ყოველდღე, თუმცა ეს არ ეხება ბატუტს. სავალდებულო წესით მხოლოდ მაღალი რისკის შემცველ ობიექტებს ამოწმებენ, ამ ჩამონთვალში არ შედის ბატუტი, ისევე როგორც მარტივი კონსტრუქციის ატრაქციონები. სპეციალისტები სავალდებულო შემოწმებას დაქვემდებარებული გასართობი ობიექტების ჩამონთვალის გაფართოებას ითხოვენ.*

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ინფორმაციით...

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა დიმიტრიოს კარაბალისმა ოძისის გადაკვეთის პუნქტზე ვიზიტისას ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის დელეგაციას უმასპინძლა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა დელეგაციის წევრებს უსაფრთხოების ვითარება, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გააცნეს და ხაზგასმით აღნიშნეს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე არსებული სირთულეები ოძისის გადაკვეთის პუნქტის გაჭიანურებული დახურვის გამო.

„ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა განმარტეს, თუ როგორ ზღუდავს მიმდინარე „ბორდერიზაციის“ აქტივობები გადაადგილების თავისუფლებას, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, ასევე რელიგიურ ადგილებსა და სასაფლაოებზე წვდომას. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა კარაბალისმა ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ეუთოსთან ერთად განაგრძობს სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ არსებული გადაკვეთის პუნქტების ფუნქციონირების სრული განახლებისკენ მოწოდებას ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების ფორმატში“, - აღნიშნავს ევროკავშირის წარმომადგენლობა.

ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე ვიზიტის შემდეგ, ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის წარმომადგენლებმა მადლიერება გამოხატეს ბრიფინგებისთვის, ანალიზისთვის, მადლობა გადაუხადეს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის თანამშრომლებს თავდადებისთვის, საქართველოსა და უფრო ფართო რეგიონის სტაბილურობაში შეტანილი წვლილისთვის.

ამირან გურიელიძე

„პაროლი“ – იდუმალების შესაცნობად

მე-5 გვერდიდან

- ჩემმა პირველმა რომანმა „საყდრის ჩიტებმა“ ისეთ დიდებულ მწერლებთან ურთიერთობის ბედნიერება მომანიჭა, როგორებიც იყვნენ ოთარ ჩხეიძე, ოტია იოსელიანი, ოთარ ჭილაძე და სხვები. მათთან გატარებული თითოეული წუთი ჩემთვის საუკუნის გაკვეთილი იყო. ბევრი რამ დამრჩა ნათელ მოგონებად, მაგრამ ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ბატონ ოთარ ჭილაძის სიტყვები: „ათი კაციდან მხოლოდ სამისთვის წერს მწერალი, შვიდი მაინც ვერ გაიგებს“... დღეს ყველაზე მეტად სწორედ მასთან საუბარს ვისურვებდი.

- ათ მცნებას შორის უმთავრესი, რომლის დარღვევას მიუტევებლად მიიჩნევთ...

- „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი“ - აი, ამ მცნების დარღვევიდან იწყება ადამიანის თავკერძობა. თუ საკუთარ თავსა და შენს შემქმნელ უფალს შორის ზღვარს წაშლი, აღზევების, ამპარტავნების, გადიდკაცების ილუზიებით, მერე ცხრავე მცნებას დაარღვევ და თანაც - ათასგვარი გამამართლებელი არგუმენტით. ადამიანს საოცარი „ნიჭი“ აქვს, მის მიერ დაქცეულ მცნებათა ნანგრევებზე გამარჯვებულის ამაყი პოზით იდგეს... მონანიებამდე.

- დრო, რომელშიც ცხოვრებას ისურვებდით.

- სულ მცირე, ორი საუკუნის წინ მაინც უნდა მეცხოვრა. ამ დროის რომ არ ვარ, ეს უკვე დაბეჯითებით ვიცი. როცა დროს არ ახსოვხარ, მერე საკუთარი თავის დავიწყებაც ადვილია, მე კი ყველაფერს ვაკეთებ ამისთვის.

- თქვენი უსაყვარლესი წიგნი და, საერთოდ, წიგნებს ხშირად უბრუნდებით წასაკითხად? რომელ ენებზე კითხულობთ?

- ახალგაზრდობაში თითქმის ყოველ წელს ვკითხულობდი კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებას“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგს“, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებს, „ჯაყოს ხიზნებს“, შექსპირის პიესებს, ტოლსტოის „ომი და მშვიდობას“, დოსტოევსკის, ჩეხოვს... იმიტომ კი არა, თავი წიგნიერებით მომეწონებინა, უბრალოდ, სულს სჭირდებოდა, გონებას, თვალსაწიერს, მინდოდა, დედაჩემის შემდეგ ჩემი თავი ისე აღმეზარდა, უგუნურების მეგობრად არ დავრჩენილიყავი. არ ვიცი, როგორ შევძელი, მაგრამ ის მაინც ვიცი, ძვალ-რბილში წიგნიერებაგამჯდარი ადამიანი, სხვას არასოდეს დაამცირებს, ადვილად არ ატკენს გულს და მარადიული ღირებულებების უხმაურო მსახურიც იქნება, პოეზიას კი ყოველდღე ვკითხულობ - არც გრანელი და არც გალაკტიონი იკითხავს, როდის გეწვიოს. ადამიანში სულის გადარჩენა მხოლოდ ესთეტიკურობის მძაფრ შეგრძნებებს შეუძლია.

- მადლიერება, სინანული, მიტევება - თქვენი მიმართება ამ ზნეობრივ უნარებთან...

- მადლიერება და სინანული ადამიანის ღირებულებებია, მიტევება - ღვთისა და ღვთიური. თუ ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვცოდავთ, რომ მერე ღმერთთან მხოლოდ მიტევებისთვის მივიდეთ, სინანულით თავს ნამდვილად ვერ მოვიწონებთ, ჩაუდენელი დანაშაულებების წარმოსახვაც კი ამძაფრებს სინანულის გრძნობას, რომელიც თავს დაგახრევინებს ჯერ ადამიანის, მერე ღვთის წინაშე. ეს სამივე ადამიანური ურთიერთობის განმსაზღვრელია და მისი მარაგით განიზომება ადამიანური საწყისის საწყაოც.

- ბათუმელებს ახლაც ახსოვთ თქვენთან, თქვენს პოეზიასთან შეხვედრა საჯარო ბიბლიოთეკაში. ახლა ჩვენს მკითხველებს ხვდებით. რას ეტყვით მათ?

- მადლობის მეტი რა მეთქმის. მადლობა ყველას, ვისაც რაღაცით დაამახსოვრდა ის შეხვედრა. მართალია, ძალიან არ მიყვარს „დღის საღამოები“, მაგრამ ის დღე ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი იყო ჩემთვის.

- დასვით კითხვა, რომლის დასმასაც ისურვებდით და უპასუხეთ.

- კითხვის დასმას გონიერებაც სჭირდება და გამბედაობაც. კითხვის დამსმელმა იმ სავარაუდო პასუხის სამი სიტყვა მაინც უნდა იცოდეს, რომელსაც გასცემენ და ისიც, რომ ის ჭკვიანური პასუხი გადაფარავს ნახევრად სულელურ კითხვას... ჭკვიანურად დასმული კითხვები ყოველთვის ბრძნულ პასუხებს ითხოვს, მე კი, ჯერჯერობით, არც ერთი ვარ და არც მეორე. ამომწურავი პასუხის გაცემა მხოლოდ მომავალს ხელეწიფება.

გახსენება

ხალხის სიყვარულით სავსე ადამიანი და მოღვაწე

9 მარტს 88 წელი შეუსრულდებოდა ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, 1986-1991 წლებში აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და რადიოჰოლდინგ „ფორტუნას“ დამფუძნებელს, ქველმოქმედ გურამ ჩიგოგიძეს.

დაიბადა 1935 წელს ქ. თბილისში. ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-19 საშუალო სკოლა, წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა...

1980 წლის გაზაფხულის ერთ დღეს ბათუმში ბინის ტელეფონმა დარეკა. ბატონი გურამ ჩიგოგიძე იყო. მითხრა: „ჯემალ, გავიგე, სამუშაოდ ადიგენის რაიონში გადაყავხართ“, მომილოცა და დაამატა, „ამ მეტად საინტერესო რეგიონის თავკაცობა დიდი პასუხისმგებლობაცაა“, მისურვა წარმატებები და აღმითქვა ყოველმხრივი მხარდაჭერა. ბოლოს იკითხა, როდის ვაპირებდი ადიგენში გამგზავრებას, მითხრა: „ტრანსპორტის პრობლემის შემთხვევაში, მანქანას გამოგიგზავნი“ (ბატონი გურამი იმ დროს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა, ხოლო შემდგომ პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ეჭირა). ეს ფაქტი არასოდეს მავიწყდება, რადგან იმ დროს ჩემდამი ასეთი ყურადღების გამოჩენა დიდი მხარდაჭერა იყო, იმას ნიშნავდა, რომ ნამდვილი ადამიანები გაჭირვებაში არასოდეს მიგატოვებენ.

ბატონი გურამ ჩიგოგიძე თავისი ადამიანურობით განსაკუთრებული მოვლენა იყო ამ წუთისოფელში. იგი მეტად შრომისმოყვარე, განსწავლული, ჭკვიანი, ტკბილმოუბარი და თავაზიანი ადამიანი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მას ქალაქ ბათუმისა და აჭარის რაიონების, ცალკეული შრომითი კოლექტივების მრავალი საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა უწევდა, ვერასოდეს ნახავდით აღელვებულს, მწყობრიდან გამოსულს, ხმამაღლა მოლაპარაკეს. იგი გამოირჩეოდა ურთიერთობისა და საუბრის თავისებური მანერით, ტონით, დიქციაც კი განსაკუთრებული და დამამშვიდებელი ჰქონდა. არ მახსოვს, ოდესმე ხმა აემაღლებინოს და ტაქტისთვის ეღალატოს. ამ კეთილშობილური თვისებებით იგი ირგვლივ მყოფთა და, საერთოდ, საზოგადოების სიმპათიას იწვევდა, შესაბამისად, მას მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. გურამ ჩიგოგიძისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ ხელისუფლებაშიც.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავკაცს, ცნობილ მეცნიერს, გამორჩეულ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძეს (და არამარტო მას) პირად საუბარში არაერთხელ დაუფიქსირებია, რომ „გურამ ჩიგოგიძე ნიჭიერი, მეტად კომუნიკაბელური, სამართლიანი და კარგი ორგანიზატორი, ერთგული მეგობარი და თანამებრძოლია“. ამ თვისებებით იგი მართლაც შეუდარებელი და გამორჩეული იყო.

1979 წლის შაბათი დღეა... ბათუმს სტუმრობდა ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე სოლიკო ხაბეიშვილი. სტუმრებმა ზღისპირა პარკის დათვალიერება გადაწყვიტეს. როცა უნივერსიტეტთან, ზღვის მხარეს ერთ-ერთ მშენებარე ობიექტს ჩავუარეთ, ბატონმა ვახტანგ პაპუნიძემ შენიშნა, ამ უცნაურ და საინტერესო არქიტექტურულ ნაგებობას, რომელიც ახალგაზრდობის დასვენებისთვის არის განკუთვნილი, ჯერჯერობით სახელი ვერ მოვუნახეთო. ბატონმა სოლიკომ ყურადღებით დაათვალიერა ნაგებობა, რომლის მშენებლობაც უკვე თითქმის დასრულებული იყო და თქვა, ამას სახელად „ფანტაზია“ მოუხდებაო. მას ყველა დაეთანხმა და ეს სახელი შერჩა დღემდე ბათუმელებისა და ჩამოსული სტუმრების დასვენებისა და გართობის ამ მშვენიერ ობიექტს, მის მშენებლობას კი პირადად ბატონი გურამი ხელმძღვანელობდა.

აქვე მინდა გავიხსენო და სასიამოვნოდ აღვნიშნო, რომ ამ საქმიანი გასეირნების დროს ჩვენთან იყო აჭარის, ხოლო ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში - საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, უაღრესად ერუდირებული, კეთილშობილებითა და ღირსებით გამორჩეული გენერალი ოთარ ხატიაშვილი, რომელმაც თავის დროზე არაერთი საინტერესო სახე შექმნა ქართულ კინოფილმებში.

კიდევ ერთი გახსენება იმ პერიოდს ეხება, როცა აჭარიდან მცირემიწიანი, ჭარბი მოსახლეობის განსახლებაზე ვმუშაობდით და საფუძველი ეყრებოდა ადიგენის რაიონში მოსახლეობისაგან დაცლილი სოფლების აღდგენა-განაშენიანებას. ეს საკითხი საკმაოდ შრომატევად მუშაობას მოითხოვდა - საჭირო იყო მოსახლეობისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, მიწების გამოყოფა, ხვნა-თესვის ორგანიზება, საცხებ-საპოხი მასალებით უზრუნველყოფა. ეს საკითხები ბატონი გურამის გამუდმებული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა, ადიგენის რაიონის მოსახლეობა კი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა.

შემთხვევითი არ იყო, რომ ამ პერიოდში ადიგენის რაიონს სტუმრობდნენ და ყოველმხრივ გვეხმარებოდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკები ედუარდ შევარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, თენგიზ მენთეშაშვილი, გურამ ენუქიძე, ვახტანგ პაპუნიძე, ნუგზარ საჯაია, გურამ ჩიგოგიძე, მერაბ ქაჯაია და სხვები. ერთ-ერთი სტუმრობისას მათ დაათვალიერეს ახლად აღდგენილი სოფლები უტყისუბანი, ჭელა, ჭეჭლა, ზაზალო, ასევე ზარზმის ეკლესია, ბოლოს კი აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, სადაც მათ მასპინძლობას უწევდა ობსერვატორიის დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.

ბატონ გურამ ჩიგოგიძეს ეკუთვნის აჭარაში მოწეული ციტრუსოვანთა ნაყოფის დიდი ხნით შენახვის იდეა. ამ საქმეს ის ბათუმის ციტრუსკომბინატის ხელმძღვანელობასთან, პირადად კომბინატის მაშინდელ დირექტორთან, აკადემიკოს გურამ პაპუნიძესთან ერთად აკეთებდა. მეთოდი დაკრეფილი ციტრუსის ნაყოფის გოგირდის კვამლით შებოლვაში გამოიხატებოდა, რითაც ნაყოფი თავს დიდხანს ინახავდა და მისი თანდათან გადამუშავება საკმაოდ მაღალ ეკონომიკურ ეფექტს იძლეოდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს გურამ ჩიგოგიძემ თავისი საქმიანობა, ძირითადად, ქართული რადიომაუწყებლობის სფეროს დაუკავშირა. მან 1998 წელს ამერიკელ პარტნიორებთან, „მეტრომედია ინტერნეშენალთან“ ერთად დააარსა რადიო „ფორტუნა“, მალე მისი ინიციატივით შეიქმნა დღეს ისეთი პოპულარული რადიოსადგურები, როგორებიცაა „ფორტუნა პლუსი“, „არ დაიდარდო“ და „ავტორადიო“, მოგვიანებით კი ჰოლდინგს მუსიკალური ტელევიზია „მიუზიქ ბოქსიც“ შეემატა.

დიდია გურამ ჩიგოგიძის დამსახურება აჭარის და მისი მოსახლეობის წინაშე, რასაც 16-წლიანი მოღვაწეობა მიუძღვნა. მან თანამებრძოლებთან ერთად ბევრი რამ გააკეთა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის, აქაურთა ცხოვრების დონის ამაღლებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოში გურამ ჩიგოგიძის ძალისხმევით, ჯერ კიდევ ათეისტური პერიოდიდან დაწყებული, მოხერხდა არაერთი საეკლესიო ნაგებობის აღდგენა-რესტავრაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით განმტკიცება.

გურამ ჩიგოგიძესთან აჭარაში ერთობლივი საქმიანობის საკმაოდ ბევრი წელი მაკავშირებდა. ბევრიც მაქვს გასახსენები, თუმცა საგაზეთო სტატიის ფორმატი მისი პიროვნებისა და დამსახურების შესახებ შედარებით სრულყოფილი მასალის წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა.

სამწუხაროდ, გურამ ჩიგოგიძე 2019 წლის 10 თებერვალს, 84 წლის ასაკში, წავიდა ამქვეყნიდან. გულწრფელად შეიძლება ითქვას, რომ იგი დააკლდა არა მარტო ოჯახსა და ახლობლებს, არამედ მთელ საზოგადოებას, ქვეყანას.

დაბოლოს, როცა გურამ ჩიგოგიძის ცხოვრებას, მის მიერ განვლილ გზას და საქმიანობას ვაანალიზებ, ვრწმუნდები, რომ რა სამსახურშიც არ უნდა საქმიანობდე, რა დავალებასაც არ უნდა ასრულებდე, ყოველთვის შეიძლება დარჩე პატიოსან, ღირსეულ და ხალხისთვის მეტად საყვარელ ადამიანად, როგორც ბატონი გურამი. მის სახელსა და საქმეს დავიწყება არ უწერია.

ჯემალ ნაკაშიძე,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1993-94 წლებში

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა ბაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 15/03/23, 21 ²⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მუზეუმის ფონდი შეივსო

აჭარის ტელევიზიის დოკუმენტური ფილმების სტუდიის ხელმძღვანელმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ოლიკო ყღენტმა ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმს ბათუმში მოღვაწე საქართველოს დამსახურებული ექიმების - პლატონ გიგინეიშვილისა და საქართველოში ოფთალმოლოგიის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებლის - ალექსანდრე შატილოვის პირადი ნივთები გადასცა საჩუქრად, ასევე, გასული საუკუნის დასაწყისში გადაღებული საინტერესო სურათები

ამასთან დაკავშირებით, მუზეუმში ღონისძიება გაიმართა, ასევე აჩვენეს პლატონ გიგინეიშვილისადმი მიძღვნილი ფილმი - „პლატონ გიგინეიშვილის სახლი ბათუმში“. ამ ფილმს აჭარის ტელევიზიის მაყურებელი სულ მალე იხილავს.

როგორც პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა თქვა, განსაკუთრებით ძვირფასია პლატონ გიგინეიშვილის პირადი ნივთები - საკვოიაჟი (ჩანთა), ხელჯოხი, რომლითაც სარგებლობდა და ფონენდოსკოპი. პლატონ გიგინეიშვილი არა მხოლოდ ექიმი, არამედ საზოგადო მოღვაწე გახლდათ, რომელიც ბათუმის მოსახლეობაში უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა. იგი ბათუმის თვითმმართველობის წევრიც იყო (1907-1914 წლებში). ცნობილი ფაქტია, რომ როცა იგი მძიმედ გახდა ავად და სიკვდილის პირას იყო, ბათუმელებმა მისი სახლის წინ თივა დაყარეს, რათა ცხენის ფლოქვების ხმას მისი მყუდროება არ დაერღვია.

პლატონ გიგინეიშვილი გამორჩეული იყო იმითაც, რომ ღარიბ მოსახლეობას ეხმარებოდა, რა თქმა უნდა, უფასოდაც მკურნალობდა. მაშინ აფთიაქი ცოტა იყო, წამლებიც საკმაოდ ძვირი ღირდა და მისი შეძენა ყველას არ შეეძლო. ექიმს ორი სახის რეცეპტი ჰქონდა - ლურჯი და თეთრი, ლურჯი ღარიბებისთვის იყო განკუთვნილი. როცა ეს ადამიანები ამ რეცეპტს აფთიაქში მიიტანდნენ, მათ ფულს არ ახდევინებდნენ - ამ თანხას თვის ბოლოს თავად პლატონ გიგინეიშვილი იხდიდა საკუთარი ჯიბიდან.

ამ უჩვეულო ადამიანს ყველა, განურჩევლად ეროვნებისა და მრწამსისა, პატივს სცემდა. სხვათა შორის, მან სიცოცხლე შეუნარჩუნა უდიდეს მსახიობს ვერიკო ანჯაფარიძესა და მის დას, რეჟისორ მერი ანჯაფარიძეს, გია დანელიას მეუღლეს. იმ პერიოდში ბათუმში ტიფი მძვინვარებდა და ამ დაავადებისგან ასეულობით ადამიანი იღუპებოდა. ექიმს ასეთი წესი ჰქონდა - შაბათ-კვირას შემოივლიდა ქალაქს და გაჭირვებულებს ეხმარებოდა. ერთ დღეს პიონერთა პარკის კოლონადებთან, იქ, სადაც დაავადებულთათვის კარვები იდგა, ატირებული ქალბატონები დაინახა. ტიფით დაავადებულებთან კონტაქტი საშიში იყო, ის კი მაინც მივიდა მათთან, მომტირალი ვერიკო და მისი და, რომელიც ცუდად იყო, სახლში წამოიყვანა და განკურნა.

პლატონ გიგინეიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის ფილიალის თავმჯდომარე გრიგოლ ვოლსკისთან, თავადაც იყო ამ საზოგადოების წევრი, არაერთ ღონისძიებაში მონაწილეობდა. მან ბათუმის ერთ-ერთი განმათავისუფლებელი დავით (დათა) ართმელაძე განკურნა. ბევრი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული ამ დიდებულ ადამიანს. როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, საჩუქრად გადაცემული ნივთები უნიკალურია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბათუმის სამედიცინო ისტორიის კუთხით.

- ვმუშაობდი ფილმზე „ქართველი სტუდენტები - ტარტუს უნივერსიტეტში“. გაირკვა, რომ ალექსანდრე შატილოვი მოსკოვის სამედიცინო უნივერსიტეტიდან გამოურიცხავთ როგორც რევოლუციონერი, რომელიც მეფის დროინდელ რეჟიმს ებრძოდა და ხშირად მონაწილეობდა მასობრივ გამოსვლებში. მოსკოვიდან წამოსვლის შემდეგ იგი ტარტუს უნივერსიტეტში მიიღეს. შატილოვი პირველი ქართველი სტუდენტი იყო, რომელიც აქ სწავლობდა. ის შატილიდან ყოფილა და გვარიც აქედან აუღია, სუფთა ქართული წარმოშობისაა. მისი შვილი ტატიანა შატილოვა ცნობილი ოფთალმოლოგი იყო. როცა მისმა სტუდენტებმა ფილმის შესახებ გაიგეს, მის შვილიშვილს შეატყობინეს, რომელიც თბილისში ცხოვრობს. რაკი ბაბუა ბათუმში მუშაობდა, ძალიან უყვარდა აქაურობა და ღვაწლიც მიუძღოდა ქალაქის წინაშე, გადაწყვიტა, შატილოვის ბიუსტი საჩუქრად გადმოეცა ჩვენთვის.

ცნობილი ოფთალმოლოგი მერაბ დვალიც ტატიანა შატილოვას მოწაფე იყო. სწორედ პროფესორებმა მერაბ დვალმა და ირინა თოდუამ გადმომცეს კიდევ ერთი უნიკალური ნივთი - 1917 წლით დათარიღებული უნიკალური ფოტოსურათი, სადაც შატილოვი ბათუმის ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან ერთადაა გადაღებული. ისიც უნდა ვთქვა, რომ დიდი ხნის წინ დავინტერესდი პლატონ გიგინეიშვილის სახლით (ტელევიზიის გვერდით, მემედ აბაშიძის ქუჩაზეა), ასევე, მისი ბიოგრაფიით. ამასთან დაკავშირებით შევხვდი მის შვილიშვილს, ჩავიწერე და ვთხოვე, რაიმე ნივთი გადაეცა მუზეუმისთვის. სწორედ მან გადმომეცა ეს სამი ნივთი საჩუქრად. პლატონი მართალაც ლეგენდაა მისი მოღვაწეობით, - გვითხრა ოლიკო ყღენტმა.

ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის ფონდისთვის საჩუქრად გადაცემული ახალი ნივთები კარგი შენაძენია.

სიახლეები

2022-2023 წლების საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტური „ბათუმმა“ წარმატებით დაიწყო და ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. ხათუნა გიორგაძის გუნდმა მეორე ტურში მოქმედი ჩემპიონი „ჯიკო“ დამაჯერებელი ანგარიშით - 3:0 დაამარცხა. პირველ ტურში „ბათუმი“ „ბოლნისს“ დაუპირისპირდა და მარტივად - ანგარიშით 3:0 სძლია. მომდევნო შეხვედრა შავიზღვისპირელებმა თელავში, „ქუთაისის“ წინააღმდეგ გამართეს.

* * *

ხელვაჩაურის კომპლექსური სასპორტო სკოლა აჭარის პირველობას მასპინძლობდა ქართულ ჭიდაობაში. ტურნირში, რომელიც 2006-2008 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის მიმდინარეობდა, ჩვენი რეგიონის 42 სპორტსმენი ასპარეზობდა. ბათუმის სპორტის სასახლის ანგარიშზე ერთი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალია. ტურნირის გამარჯვებული ლაშა გაბედავა (46 კგ წონითი კატეგორია) გახდა, ხოლო არჩილ სუხიტაშვილი (55 კგ) ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

* * *

თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ძიუდოში, უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის, ბათუმის სპორტის სასახლის სპორტსმენი თენგიზ ჭინკაძე (60 კგ) ბრინჯაოს მედალს დასჯერდა (მწვრთნელი - ვახტანგ ზოიძე).

* * *

ხორვატიის დედაქალაქში მიმდინარე 25th Rapir Cup-ზე, რაპირაში, 17 წლამდელთა შორის, შერეულ გუნდურ წყვილში ანანო ჯინჭარაძე და ელენე თურმანიძე, კვიპროსელ თანატოლებთან ერთად, ჩემპიონის ტიტულს დაეუფლნენ.

ვულოცავთ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელს თინიკო ბოლქვაძეს ამ გამარჯვებას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.

* * *

ერთი ოქრო და ერთი ვერცხლი - ასეთია ბათუმის სპორტის სასახლის სპორტსმენების მონაგარი მძლეოსნობაში გამართულ თბილისის ღია ჩემპიონატზე.

სამმაგ ხტომაში ოქროს მედალს მათე მეჯიდოვი დაეუფლა, ლუიზა შენგელიამ კი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

ვულოცავთ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელს ამ წარმატებას.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა